

სასამართლოს რეგლამენტი

(2003 წლის ნოემბერი)

სასამართლოს რეგისტრატურა

სტრასბურგი

რეგისტრატურის შენიშვნა

სასამართლოს რეგლამენტის წინამდებარე ახალი ვარიანტი მოიცავს 2003 წლის 7 ივლისს სასამართლო პლენუმის მიერ შეტანილ ცვლილება-დამატებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ნოემბერს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს რეგლამენტის ზოგადი გადახედვა სასამართლოს განვითარებადი პრაქტიკის გათვალისწინებით კვლავ გრძელდება და, შესაბამისად, არც თუ ისე შორეულ მომავალში მოსალოდნელია მასში ახალი ცვლილება-დამატებების შეტანა.

სასამართლოს რეგლამენტის წინამდებარე ტექსტის სიახლე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ რეგლამენტის 32-ე მუხლის საფუძველზე რეგლამენტის პრაქტიკული მითითებებით გავრცობაში მდგომარეობს. აღნიშნული მითითებები მიზნად ისახავს მხარეებისათვის გზამკვლევის დანიშნულების შესრულებას სასამართლოსთან კონტაქტების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით და, ამავე დროს, სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის გაადვილების მიზნით უფრო სტანდარტული პროცედურების უზრუნველყოფას. ამ ეტაპზე მიღებულია სამი პრაქტიკული მითითება და მომავალში კიდევ უფრო მეტის მიღება იგეგმება. ნებისმიერი დამატებითი ტექსტი და სიახლე გამოქვეყნდება სასამართლოს ინტერნეტგვერდზე (www.echr.coe.int).

სარჩმპო

მუხლი 1 განმარტებები.....

პარტი I – სასამართლოს მოწყობა და მისი საქმიანობა

თავი I – მოსამართლეები

მუხლი 2 უფლებამოსილების ვადის გამოთვლა.....
მუხლი 3 ფიცი ან ოფიციალური განცხადება.....
მუხლი 4 შეუთავსებელი საქმიანობა.....
მუხლი 5 მდგომარეობა რანგის მიხედვით.....
მუხლი 6 გადადგომა.....
მუხლი 7 თანამდებობიდან გადაყენება.....

თავი II – სასამართლოს პრეზიდიუმი და ბიუროს როლი

მუხლი 8 სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, სექციათა თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების არჩევნები.....
მუხლი 9 სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციები.....
მუხლი 9A ბიუროს როლი.....
მუხლი 10 სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციები.....
მუხლი 11 სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შეცვლა.....
მუხლი 12 სექციებისა და პალატების თავმჯდომარეობა.....
მუხლი 13 თავმჯდომარეობის შეუძლებლობა.....
მუხლი 14 სქესთა დაბალანსებული წარმომადგენლობა.....

თავი III – რეგისტრატურა

მუხლი 15 რეგისტრატორის არჩევა.....
მუხლი 16 რეგისტრატორის მოადგილეების არჩევა.....
მუხლი 17 რეგისტრატორის ფუნქციები.....
მუხლი 18 რეგისტრატურის სტრუქტურა.....

თავი IV – სასამართლოს ფუნქციონირება

მუხლი 19 სასამართლოს ადგილსამყოფელი.....
მუხლი 20 სასამართლო პლენუმის სესიები.....
მუხლი 21 სასამართლოს სხვა სხდომები.....
მუხლი 22 თათბირი.....
მუხლი 23 ხმის მიცემა.....

თავი V – სასამართლოს შემადგენლობა

მუხლი 24	დიდი პალატის შემადგენლობა
მუხლი 25	სექციების შექმნა
მუხლი 26	პალატების შემადგენლობა
მუხლი 27	კომიტეტები
მუხლი 28	უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა, გაწვევა ან გათავისუფლება
მუხლი 29	<i>ad hoc</i> მოსამართლეები
მუხლი 30	საერთო ინტერესები

პარი II – პროცედურა

თავი I – ზოგადი დებულებები

მუხლი 31	კონკრეტული გადახვევების შესაძლებლობა
მუხლი 32	პრაქტიკული მითითებები
მუხლი 33	დოკუმენტების საჯარო ხასიათი
მუხლი 34	ენების გამოყენება
მუხლი 35	ხელშემკერებელ მხარეთა წარმომადგენლობა
მუხლი 36	განმცხადებელთა წარმომადგენლობა
მუხლი 37	კომუნიკაციები, შეტყობინებები და გამოძახებები
მუხლი 38	წერილობითი კომენტარები
მუხლი 38A	საპროცესო საკითხების განხილვა
მუხლი 39	დროებითი ღონისძიებები
მუხლი 40	განმცხადებლისათვის საგანგებო შეტყობინების გაგზავნა
მუხლი 41	საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება
მუხლი 42	განაცხადთა გაერთიანება და ერთდროული განხილვა
მუხლი 43	განსახილველ საქმეთა სიიდან განაცხადის ამოღება და განაცხადთა სიაში აღდგენა
მუხლი 44	მესამე მხარის ჩართვა

თავი II – სამართალწარმოების აღძვრა

მუხლი 45	ხელმოწერები
მუხლი 46	სახელმწიფოთაშორისი განაცხადის შინაარსი
მუხლი 47	ინდივიდუალური განაცხადის შინაარსი

თავი III – მომსახურებელი მოსამართლეები

მუხლი 48	სახელმწიფოთაშორისი განაცხადები
მუხლი 49	ინდივიდუალური განაცხადები
მუხლი 50	დიდი პალატის წინაშე გამართული სამართალწარმოება

თავი IV – საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებული
სამართალწარმოება

სახელმწიფოთაშორისი განაცხადები
მუხლი 51 განაცხადების განსახილველად გადაცემა და შემდგომი
სამართალწარმოება

ინდივიდუალური განაცხადები
მუხლი 52 სექციებისათვის განაცხადების განსახილველად
გადაცემა

მუხლი 53 კომიტეტის წინაშე წარმოებული პროცედურა.....

მუხლი 54 პალატის წინაშე წარმოებული პროცედურა.....

მუხლი 54A განაცხადის დაშვებადობისა და არსებითი მხარის
ერთდროულად განხილვა.....

სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები
მუხლი 55 არსებით განხილვაზე დაუშვებლობასთან
დაკავშირებული პრეტენზიები.....

მუხლი 56 პალატის გადაწყვეტილება.....

მუხლი 57 გადაწყვეტილების ენა.....

თავი V – განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვების შემდგომი
სამართალწარმოება

მუხლი 58 სახელმწიფოთაშორისი განაცხადები.....

მუხლი 59 ინდივიდუალური განაცხადები.....

მუხლი 60 სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული
პრეტენზიები.....

მუხლი 62 მეგობრული მორიგება

თავი VI – საქმის მოსმენები

მუხლი 63 საქმის მოსმენების საჯარო ხასიათი.....

მუხლი 64 საქმის მოსმენების წარმართვა

მუხლი 65 გამოუცხადებლობა.....

მუხლი 70 საქმის მოსმენის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....

თავი VII – დიდი პალატის წინაშე გამართული
სამართალწარმოება

მუხლი 71 პროცედურულ დებულებათა გამოყენება.....

მუხლი 72 პალატის მიერ იურისდიქციაზე დიდი პალატის
სასარგებლოდ უარის განცხადება

მუხლი 73 მხარის მოთხოვნა საქმის დიდი პალატისათვის
გადაცემის თაობაზე.....

თავი VIII – განაჩენები

მუხლი 74	განაჩენის შინაარსი
მუხლი 75	სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება
მუხლი 76	განაჩენის ენა
მუხლი 77	განაჩენის ხელმოწერა, გამოცხადება და შეტყობინება
მუხლი 78	განაჩენებისა და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნება
მუხლი 79	მოთხოვნა განაჩენის განმარტების თაობაზე
მუხლი 80	განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნა
მუხლი 81	გადაწყვეტილებებსა და განაჩენებში შეცდომების გასწორება

თავი IX – საკონსულტაციო დასკვნები

მუხლი 82
მუხლი 83
მუხლი 84
მუხლი 85
მუხლი 86
მუხლი 87
მუხლი 88
მუხლი 89
მუხლი 90

თავი X – სამართლებრივი დახმარება

მუხლი 91
მუხლი 92
მუხლი 93
მუხლი 94
მუხლი 95
მუხლი 96

პარო III – გარდამავალი დებულებები

მუხლი 97	მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადები
მუხლი 98	სექციების თავმჯდომარე
მუხლი 99	ურთიერთობა სასამართლოსა და კომისიას შორის
მუხლი 100	სამართალწარმოება პალატასა და დიდ პალატაში
მუხლი 101	სამართლებრივი დახმარების მინიჭება
მუხლი 102	მოთხოვნა განაჩენის განმარტების ან გადასინჯვის თაობაზე

პარო IV – დასკვნითი დებულებები

- მუხლი 103 რეგლამენტის მუხლში ცვლილება-დამატებების შეტანა ან მუხლის შეჩერება.....
- მუხლი 104 რეგლამენტის ძალაში შესვლა.....

რეგლამენტის დანართი (გამოძიებასთან დაკავშირებით)

- მუხლი A1 საგამოძიებო მოქმედებები.....
- მუხლი A2 მხარეთა ვალდებულებები საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.....
- მუხლი A3 დელეგაციის წინაშე გამოუცხადებლობა.....
- მუხლი A4 სამართალწარმოების წარმართვა დელეგაციის წინაშე.....
- მუხლი A5 მოწმეთა, ექსპერტთა და სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა პირთა გამოძახება დელეგაციის წინაშე.....
- მუხლი A6 დელეგაციის მიერ დასაკითხ მოწმეთა და ექსპერტთა ფიცი ან ოფიციალური განცხადება.....
- მუხლი A7 დელეგაციის მიერ მოწმეთა, ექსპერტთა და სხვა პირთა მოსმენა.....
- მუხლი A8 დელეგაციის წინაშე წარმოებული სამართალწარმოების სტენოგრაფიული ჩანაწერი.....

პრაქტიკული მითითებები

- მოთხოვნა დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით.....
- სამართალწარმოების აღძვრა.....
- წერილობითი კომენტარები.....
- ინდექსი.....

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო,

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას და მის ოქმებს,

იღებს წინამდებარე რეგლამენტს:

მუხლი I^[1]
(განმარტებები)

წინამდებარე რეგლამენტის მიზნებისათვის, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს:

ა) ტერმინი „კონვენცია“ ნიშნავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას და მის ოქმებს;

ბ) გამოთქმა „სასამართლო პლენუმი“ ნიშნავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენარულ სხდომას;

გ) გამოთქმა „დიდი პალატა“ ნიშნავს კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებულ, ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატას;

დ) ტერმინი „სექცია“ ნიშნავს სასამართლო პლენუმის მიერ კონვენციის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დროის განსაზღვრული პერიოდით დაარსებულ პალატას, ხოლო გამოთქმა „სექციის თავმჯდომარე“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელიც კონვენციის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არჩეულია სასამართლო პლენუმის მიერ ამ სექციის თავმჯდომარედ;

ე) ტერმინი „პალატა“ ნიშნავს კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებულ, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ ნებისმიერ პალატას, ხოლო გამოთქმა „პალატის თავმჯდომარე“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელიც ამგვარ „პალატას“ თავმჯდომარეობს;

ვ) ტერმინი „კომიტეტი“ ნიშნავს კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებულ, სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტს;

ზ) ტერმინი „სასამართლო“ ნიშნავს სასამართლო პლენუმს, დიდ პალატას, სექციას, პალატას, კომიტეტს ან კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ, ხუთი მოსამართლისაგან შემდგარ კოლეგიას;

¹ [1] 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

თ) გამოთქმა „ad hoc მოსამართლე“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, არა არჩეულ მოსამართლეს, რომელსაც კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ირჩევს ხელშემკვრელი მხარე დიდი პალატისა თუ პალატის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით;

ი) ტერმინები „მოსამართლე“ და „მოსამართლეები“ ნიშნავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეულ მოსამართლეს ან ad hoc მოსამართლეებს;

კ) გამოთქმა „მომსენებელი მოსამართლე“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელსაც დაეკისრება წინამდებარე რეგლამენტის 48-ე და 49-ე მუხლებში გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;

ლ) ტერმინი „დელეგატი“ ნიშნავს მოსამართლეს, რომელიც პალატის მიერ განწესებული იქნა დელეგაციაში, ხოლო გამოთქმა „დელეგაციის ხელმძღვანელი“ გულისხმობს დელეგატს, რომელიც პალატის მიერ დანიშნული იქნა დელეგაციის ხელმძღვანელად;

მ) ტერმინი „დელეგაცია“ ნიშნავს დელეგატებისაგან, რეგისტრატურის წევრებისა და დელეგაციისათვის დახმარების გაწევის მიზნით პალატის მიერ დანიშნული ნებისმიერი პირისაგან შემდგარ ორგანოს;

ნ) ტერმინი „რეგისტრატორი“ კონტექსტის მიხედვით გულისხმობს სასამართლოს რეგისტრატორს ან სექციის რეგისტრატორს;

ო) ტერმინები „მხარე“ და „მხარეები“ ნიშნავს

– განმცხადებელს ან მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეებს;

– განმცხადებელს (იქნება ეს პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ პირთა ჯგუფი), რომელიც კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად აღძრავს სარჩელს;

პ) გამოთქმა „მესამე მხარე“ ნიშნავს ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ან ნებისმიერ პირს, რომელმაც კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად განახორციელა თავისი უფლება ან რომელსაც ეთხოვა წერილობითი კომენტარების წარდგენა ან საქმის მოსმენაში მონაწილეობის მიღება;

ჟ) ტერმინები „საქმის მოსმენა“ და „საქმის მოსმენები“ ნიშნავს ზეპირ სამართალწარმოებას, რომელიც იმართება საქმის დაშვებადობასთან და/ან არსებით განხილვასთან ანდა გადახედვის, განმარტებისა თუ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნასთან დაკავშირებით;

რ) გამოთქმა „მინისტრთა კომიტეტი“ ნიშნავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს;

ს) ტერმინები „ადრე მოქმედი სასამართლო“ და „კომისია“ ნიშნავს კონვენციის ადრე მოქმედი მე-19 მუხლის თანახმად შექმნილ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროპულ კომისიას.

პარი I

სასამართლოს მოწყობა და მისი საქმიანობა

თავი I

მოსამართლეები

მუხლი 2

(უფლებამოსილების ვადის გამოთვლა)

1. არჩეული მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა გამოითვლება მისი არჩევის დღიდან. თუმცა როდესაც მოსამართლეს ხელახლა ირჩევენ უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო ან იმ მოსამართლის შეცვლის მიზნით, რომლის უფლებამოსილების ვადაც უკვე გავიდა ან ვადის, მისი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა, ნებისმიერ შემთხვევაში, აითვლება აღნიშნული ვადის გასვლის დღიდან.
2. კონვენციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იმ მოსამართლის შესაცვლელად არჩეული მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადა ამოწურული არ არის, იკავებს თანამდებობას მისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადით.
3. კონვენციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, არჩეულ მოსამართლეს თანამდებობა უკავია მანამ, სანამ მისი უფლებამონაცვლე არ დადებს ფიცს ან არ გააკეთებს განცხადებას, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე რეგლამენტის მე-3 მუხლში.

მუხლი 3

(ფიცი ან ოფიციალური განცხადება)

1. უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე თითოეული ახლადარჩეული მოსამართლე ვალდებულია, პირველ სასამართლო პლენუმზე, რომელსაც ესწრება, საჭიროების შემთხვევაში კი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე, დადოს შემდეგი ფიცი ან გააკეთოს ოფიციალური განცხადება:

„ვფიცავ,“ – ან „ოფიციალურად ვაცხადებ,“ – „შევასრულო ჩემი, როგორც მოსამართლის, მოვალეობა კეთილსინდისიერად,

დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად და საიდუმლოდ შევინახო საქმესთან დაკავშირებული ყველა თაობირი”.

- ეს ქმედება შეტანილი უნდა იქნეს სხდომის ოქმში.

მუხლი 4
(შეუთავსებელი საქმიანობა)

კონვენციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ უნდა ჩაებნენ მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან შეუსაბამო რაიმე პოლიტიკურ, აღმასრულებელ თუ პროფესიულ საქმიანობაში. თითოეულმა მოსამართლემ ნებისმიერი დამატებითი საქმიანობის შესახებ უნდა აცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს. სასამართლოს თავმჯდომარესა და შესაბამის მოსამართლეს შორის უთანხმოების შემთხვევაში წამოჭრილ ნებისმიერ საკითხს სასამართლო პლენუმი გადაწყვეტს.

მუხლი 5
(მდგომარეობა რანგის მიხედვით)

1. რანგის მიხედვით არჩეული მოსამართლეები მოჰყვებიან სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და სექციათა თავმჯდომარეებს, მათი არჩევის თარიღის შესაბამისად; ხელახლა არჩევის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც არჩევა არ ხდება დაუყოვნებლივ, გათვალისწინებული უნდა იქნეს დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ამ მოსამართლეს ადრე ეკავა მოსამართლის თანამდებობა.
2. სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს, რომლებიც თანამდებობაზე ერთსა და იმავე დღეს აირჩიეს, იმის მიხედვით ენიჭებათ უფრო მაღალი რანგი, თუ რომელმა უფრო მეტ ხანს იმსახურა მოსამართლედ. თუ დროის ეს მონაკვეთიც თანაბარია, მაშინ რანგი მათ ასაკის მიხედვით მიენიჭებათ. იგივე წესი გამოიყენება სექციის თავმჯდომარეებთან მიმართებაშიც.
3. მოსამართლეებს, რომლებმაც მოსამართლედ დროის თანაბარი პერიოდების განმავლობაში იმსახურეს, რანგი ასაკის მიხედვით მიენიჭებათ.
4. *ad hoc* მოსამართლეებს რანგი მიენიჭებათ არჩეული მოსამართლეების შემდეგ, ასაკის შესაბამისად.

მუხლი 6
(გადადგომა)

მოსამართლის გადადგომის შესახებ უნდა ეცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც შეატყობინებს ამას ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. წინამდებარე რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის საბოლოო ვერსიის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადადგომის შედეგად წარმოიქმნება ვაკანსია ამ თანამდებობაზე.

მუხლი 7

(თანამდებობიდან გადაყენება)

არც ერთი მოსამართლე არ შეიძლება გადაყენებული იქნეს თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები სასამართლო პლენუმის სხდომაზე ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს წაყენებულ პირობებს. მოსამართლეს თავდაპირველად სასამართლო პლენუმზე უნდა მოუსმინონ. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია იშუამდგომლოს თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის აღძვრასთან დაკავშირებით.

თავი II^[2]

სასამართლოს პრეზიდიუმი და ბიუროს როლი

მუხლი 8

(სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, სექციათა თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების არჩევნები)

1. სასამართლო პლენუმი ირჩევს თავმჯდომარეს, მის ორ მოადგილესა და სექციათა თავმჯდომარეებს სამი წლის ვადით იმ პირობით, რომ ეს პერიოდი არ გადააჭარბებს მათი, როგორც მოსამართლეების, უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობას. ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეულნი.
2. ზემოხსენებულის მსგავსად თითოეული სექცია სამი წლის ვადით (შესაძლებელია ამ პერიოდის განახლება) ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სექციის თავმჯდომარე, თუ ეს უკანასკნელი ვერ ახორციელებს თავის მოვალეობებს.
3. თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები აგრძელებენ საქმიანობას მათი უფლებამონაცვლეების არჩევამდე.
4. თუ სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე აღარ არის სასამართლოს წევრი ან ვადაზე ადრე გადადგება, სასამართლო

² [2] 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

პლენუმი ან შესაბამისი სექცია, სიტუაციის მიხედვით, ირჩევს უფლებამონაცვლეს ამ უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდისათვის.

5. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით; არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ სასამართლო პლენუმზე დამსწრე მოსამართლეები. თუ დამსწრეთაგან ვერც ერთი ვერ მოიპოვებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, არჩევნები ჩატარდება იმ ორ მოსამართლეს შორის, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მოაგროვეს, ხმათა თანაბარი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში კი უპირატესობა მიენიჭება იმ მოსამართლეს, რომელსაც წინამდებარე რეგლამენტის მე-5 მუხლის თანახმად უფრო მაღალი რანგი უკავია.

მუხლი 9

(სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციები)

1. სასამართლოს თავმჯდომარე უძღვება სასამართლოს მუშაობას და მართვას. თავმჯდომარე წარმოადგენს სასამართლოს, კერძოდ კი პასუხისმგებელია სასამართლოსა და ევროპის საბჭოს სხვა ორგანოების ურთიერთობებზე.
2. თავმჯდომარე უძღვება სასამართლო პლენუმს, დიდი პალატის სხდომებს და ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის სხდომებს.
3. თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას იმ საქმეების განხილვაში, რომლებიც მოისმინეს პალატებმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი წარმოადგენს შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეულ მოსამართლეს.

მუხლი 9A^[3]

(ბიუროს როლი)

1. (ა) სასამართლოს გააჩნია ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და სექციების თავმჯდომარეები. მაშინ, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ან სექციის თავმჯდომარე ვერ ესწრება ბიუროს სხდომას, მას ცვლის სექციის თავმჯდომარის მოადგილე ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, წინამდებარე რეგლამენტის მე-5 მუხლში დაწესებული რანგების მიხედვით სექციაში შემდეგი რანგის მქონე წევრი.

(ბ) ბიუროს შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს სხვა წევრის ან ნებისმიერი იმ პირის დასწრება, ვისი იქ ყოფნაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია.

^[3] ჩამატებული იქნა სასამართლოს მიერ 2003 წლის 7 ივლისს.

2. ბიუროს დახმარებას უწევენ რეგისტრატორი და რეგისტრატორის მოადგილეები.
3. ბიუროს ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ დახმარება გაუწიოს თავმჯდომარეს სასამართლოს მუშაობის გაძღვლასა და მართვაში. ამ მიზნით თავმჯდომარე უფლებამოსილია, ბიუროს წარუდგინოს მის კომპეტენციაში შემავალი ადმინისტრაციული თუ არასასამართლო ხასიათის ნებისმიერი საკითხი.
4. ბიურო ხელს უწყობს, აგრეთვე, სასამართლოს სექციებს შორის მუშაობის კოორდინირებას.
5. წინამდებარე რეგლამენტის 32-ე მუხლის საფუძველზე პრაქტიკული მითითებების გაცემამდე და რეგისტრატორის მიერ წინამდებარე რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შემუშავებული ზოგადი მითითებების დამტკიცებამდე თავმჯდომარეს შეუძლია მოეთათბიროს ბიუროს.
6. ბიუროს შეუძლია მოხსენებით მიმართოს სასამართლო პლენუმს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. მას პლენუმისთვის წინადადებების წარდგენის უფლებაც აქვს.
7. ბიუროს სხდომებზე უნდა შედგეს ოქმი, რომელიც დაურიგდება მოსამართლეებს სასამართლოს ორივე ოფიციალურ ენაზე. ბიუროს მდივანს სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს რეგისტრატორი.

მუხლი 10

(სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა ფუნქციები)

სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები დახმარებას უწევენ სასამართლოს თავმჯდომარეს. ისინი იკავებენ თავმჯდომარის ადგილს, თუ ეს უკანასკნელი ვერ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას ან თუ თავმჯდომარის ადგილი ვაკანტურია, ანდა თვით თავმჯდომარის მოთხოვნით. ისინი ასევე ახორციელებენ სექციათა თავმჯდომარეების უფლებამოსილებას.

მუხლი 11

(სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შეცვლა)

თუ სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები ერთდროულად ვერ ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას ან თუ მათი ადგილები ერთდროულად ვაკანტურია, თავმჯდომარის უფლებამოსილებას თავის თავზე იღებს სექციის თავმჯდომარე, ხოლო თუკი ესეც შეუძლებელია, მაშინ სხვა მოსამართლე წინამდებარე

რეგლამენტის მე-5 მუხლის შესაბამისად დადგენილი რანგების მიხედვით.

მუხლი 12^{4[4]}

(სექციებისა და პალატების თავმჯდომარეობა)

სექციის თავმჯდომარეები თავმჯდომარეობენ იმ სექციისა და პალატების სხდომებს, რომელთა წევრებიც თვითონ არიან, და ხელმძღვანელობენ სექციათა საქმიანობას. სექციების თავმჯდომარეთა მოადგილეები იკავებენ თავმჯდომარეთა ადგილს, თუ ეს უკანასკნელი ვერ ახორციელებენ თავიანთ მოვალეობებს, თუ მათი ადგილები ვაკანტურია ანდა თვით სექციის თავმჯდომარის მოთხოვნით. უკიდურეს შემთხვევაში მათ ადგილს დაიკავებენ სექციისა და პალატების სხვა მოსამართლეები წინამდებარე რეგლამენტის მე-5 მუხლის შესაბამისად დადგენილი რანგების მიხედვით.

მუხლი 13

(თავმჯდომარეობის შეუძლებლობა)

ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს არ შეუძლიათ თავმჯდომარეობა პროცესებზე, თუ სამართალწარმოების მხარეს წარმოადგენს ის ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც ეს მოსამართლეები არიან ან რომლის მხრიდანაც ისინი არიან არჩეულნი.

მუხლი 14

(სქესთა დაბალანსებული წარმომადგენლობა)

მოსამართლეთა დასანიშნავად წინამდებარე რეგლამენტის ამ და მომდევნო თავების საფუძველზე სასამართლო ატარებს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს სქესთა დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველყოფას.

^{4[4]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

თავი III

რეგისტრატურა

მუხლი 15

(რეგისტრატორის არჩევა)

1. სასამართლო პლენუმი ირჩევს თავის რეგისტრატორს. კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და სამართლის, მართვისა და ენის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა თანამდებობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად.

2. რეგისტრატორის არჩევა ხდება ხუთი წლის ვადით. ამასთან, შესაძლებელია მისი ხელახალი არჩევა. არც ერთი რეგისტრატორი არ შეიძლება დაითხოვონ თანამდებობიდან, თუ მოსამართლეები სასამართლო პლენუმის სხდომაზე ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს წაყენებულ პირობებს. რეგისტრატორს თავდაპირველად სასამართლო პლენუმზე უნდა მოუსმინონ. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია წამოჭრას შუამდგომლობა თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის აღდგრასთან დაკავშირებით.

3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით; მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ დამსწრე მოსამართლეებს. დამსწრეთაგან თუ ვერც ერთი ვერ მოიპოვებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, არჩევნები ჩატარდება იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მოაგროვეს, ხმათა თანაბარი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში კი უპირატესობა მიენიჭება, პირველ რიგში, მდედრობითი სქესის კანდიდატს, ხოლო თუ ასეთი არ არის, ასაკით უფროს კანდიდატს.

4. თავისი უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე რეგისტრატორი ვალდებულია, სასამართლო პლენუმის წინაშე, საჭიროების შემთხვევაში კი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დადოს შემდეგი ფიცი ან გააკეთოს ოფიციალური განცხადება:

„ვფიცავ,“ – ან „ოფიციალურად ვაცხადებ,“ – „რომ ერთგულად, წინდახედულად და კეთილსინდისიერად შევასრულებ ჩემთვის, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგისტრატორისათვის, დაკისრებულ მოვალეობებს.“

ეს ქმედება შეტანილი უნდა იქნეს სხდომის ოქმში.

მუხლი 16
(რეგისტრატორის მოადგილეების არჩევა)

1. სასამართლო პლენუმმა უნდა აირჩიოს რეგისტრატორის ორი მოადგილეც იმ პირობებით, მეთოდითა და უფლებამოსილების ვადით, რომლებიც განსაზღვრულია წინა მუხლში. წინა მუხლში რეგისტრატორთან მიმართებაში განსაზღვრული თანამდებობიდან გადაყენების პროცედურაც მსგავსად გამოიყენება. ეს ორივე შემთხვევა სასამართლომ რეგისტრატორთან უნდა შეათანხმოს.
2. უფლებამოსილების განხორციელებამდე რეგისტრატორის მოადგილემ სასამართლო პლენუმის წინაშე ან, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე უნდა დადოს ფიცი ან გააკეთოს ოფიციალური განცხადება რეგისტრატორთან მიმართებაში განსაზღვრული პირობების დაცვით. ეს ქმედება შეტანილი უნდა იქნეს სხდომის ოქმში.

მუხლი 17
(რეგისტრატორის ფუნქციები)

1. რეგისტრატორი დახმარებას უწევს სასამართლოს მისი ფუნქციების განხორციელებაში და პასუხისმგებელია სასამართლოს თავმჯდომარის ზედამხედველობით რეგისტრატურის საქმიანობის ორგანიზებაზე.
2. რეგისტრატორი ინახავს სასამართლოს არქივებს, მისი მეშვეობით უნდა განხორციელდეს ყველა კომუნიკაცია და შეტყობინება, რომელიც სასამართლოს მიერ ან მის მიმართ არის გაკეთებული და რომელიც ეხება სასამართლოს წინაშე წარდგენილ ან წარსადგენ საქმეებს.
3. რეგისტრატორის მოვალეობაა, მისი თანამდებობისთვის დაკისრებული დისკრეციის მოვალეობის საფუძველზე პასუხი გასცეს თხოვნებს სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, კერძოდ კი პრესის მოთხოვნებს.
4. რეგისტრატურის მუშაობას არეგულირებს რეგისტრატორის მიერ შემუშავებული ზოგადი მითითებები, რომლებსაც სასამართლოს თავმჯდომარე ამტკიცებს.

მუხლი 18
(რეგისტრატურის სტრუქტურა)

1. რეგისტრატურა შედგება რეგისტრატურის სექციებისაგან, რომელთა რაოდენობა ტოლია სასამართლოს მიერ შექმნილი სექციებისა და დეპარტამენტების რაოდენობისა, და დეპარტამენტებისგან, რომლებიც საჭიროა სასამართლოს მიერ

მოთხოვნილი იურიდიული და ადმინისტრაციული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

2. სექციის რეგისტრატორი დახმარებას უწევს სექციას მისი ფუნქციების შესრულებაში, ხოლო მას შეიძლება დახმარება გაუწიოს სექციის რეგისტრატორის მოადგილემ.

3. რეგისტრატურის თანამშრომლები, მათ შორის, სამართლებრივი მდივნები, მაგრამ არა რეგისტრატორი და მისი მოადგილეები, ინიშნებიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ სასამართლოს თავმჯდომარის ან რეგისტრატორის (რომელიც სასამართლოს თავმჯდომარის მითითებით იმოქმედებს) თანხმობით.

თავი IV

სასამართლოს ფუნქციონირება

მუხლი 19

(სასამართლოს ადგილსამყოფელი)

1. სასამართლო, ისევე, როგორც ევროპის საბჭო, მდებარეობს სტრასბურგში. თუმცა სასამართლოს შეუძლია, თუკი მიზანშეწონილად მიიჩნევს, თავისი ფუნქციები ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე ნებისმიერ ადგილას შეასრულოს.

2. განაცხადის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია გამოძიებისა თუ სხვა ფუნქციების ნებისმიერ სხვა ადგილას განხორციელება სასამართლოს ან მისი ერთი ან რამდენიმე წევრის მიერ.

მუხლი 20

(სასამართლო პლენუმის სესიები)

1. სასამართლოს პლენარულ სხდომებს იწვევს სასამართლოს თავმჯდომარე, როდესაც ამას მოითხოვს კონვენციისა და წინამდებარე რეგლამენტის თანახმად სასამართლოს ფუნქციების განხორციელება. სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს სასამართლოს პლენარული სხდომები, სულ მცირე, სასამართლოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე და, ნებისმიერ შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ ადმინისტრაციული საკითხების გადასაწყვეტად.

2. სასამართლო პლენუმის კოორუმს შეადგენს არჩეულ მოსამართლეთა ორი მესამედი.

3. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე გადადებს სესიას.

მუხლი 21
(სასამართლოს სხვა სხდომები)

1. დიდი პალატა, პალატები და კომიტეტები პერმანენტულ საწყისებზე მუშაობენ, თუმცა თავმჯდომარის წინადადებით სასამართლო ყოველწლიურად დანიშნავს სასესიო პერიოდებს.

2. საგანგებო შემთხვევაში დიდი პალატისა და პალატების თავმჯდომარეები იწვევენ დიდი პალატისა და პალატების რიგგარეშე სხდომებს (არა სასესიო პერიოდებში).

მუხლი 22
(თათბირი)

1. სასამართლო თათბირობს განმარტოებით. თათბირი საიდუმლოა.

2. თათბირში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მოსამართლეები. თათბირებს ასევე ესწრებიან რეგისტრატორი ან მის მიერ დანიშნული შემცვლელი პირი, ისევე, როგორც რეგისტრატურის სხვა თანამშრომლები და თარჯიმნები, რომელთა დახმარებაც საჭიროდ არის მიჩნეული. არც ერთი სხვა პირი არ დაიშვება სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე.

3. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემამდე თავმჯდომარეს შეუძლია მოსთხოვოს მოსამართლეებს, ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 23
(ხმის მიცემა)

1. სასამართლოს გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე მოსამართლეთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში ჩატარდება ახალი არჩევნები და თუ ხმები კვლავ თანაბარი იქნება, მაშინ თავმჯდომარეს ეძლევა გამამწყვეტი ხმის უფლება. ეს პუნქტი გამოიყენება, თუ წინამდებარე რეგლამენტი კონკრეტულ საკითხს სხვაგვარად არ არეგულირებს.

2. დიდი პალატისა და პალატების გადაწყვეტილებები და განაჩენები მიღებული უნდა იქნეს დამსწრე მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ. საქმის დაშვებადობასთან და არსებით განხილვასთან დაკავშირებით საბოლოო ხმის მიცემისას დაუშვებელია თავის შეკავება.

3. ზოგადი წესის თანახმად, ხმის მიცემა ხორციელდება ხელის აწევით. თავმჯდომარეს შეუძლია ჩაატაროს სახელობითი კენჭისყრა სასამართლო რანგების საპირისპირო თანმიმდევრობით.

4. ნებისმიერი საკითხი, რომელსაც კენჭი უნდა ეყაროს, ზუსტად უნდა იქნეს ფორმულირებული.

თავი V

სასამართლოს შემადგენლობა

მუხლი 24^[5]

(დიდი პალატის შემადგენლობა)

1. დიდი პალატა უნდა შედგებოდეს ჩვიდმეტი მოსამართლისა და, სულ მცირე, სამი შემცველი მოსამართლისაგან.

2. ა) დიდ პალატაში უნდა შედიოდნენ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და სექციათა თავმჯდომარეები. სასამართლოს თავმჯდომარის ნებისმიერი მოადგილე ან სექციის თავმჯდომარე, რომელიც ვერ იღებს მონაწილეობას დიდი პალატის სხდომებში, უნდა შეიცვალოს შესაბამისი სექციის თავმჯდომარის მოადგილის მიერ.

ბ) შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეული მოსამართლე ან, საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე რეგლამენტის 29-ე და 30-ე მუხლების თანახმად დანიშნული მოსამართლე მონაწილეობას მიიღებს დიდი პალატის სხდომებში, როგორც *ex officio* წევრი კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

გ) კონვენციის 30-ე მუხლის საფუძველზე დიდი პალატისათვის გადაცემულ საქმეებში დიდი პალატის სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ იმ პალატის წევრებიც, რომელმაც უარი განაცხადა იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ.

დ) კონვენციის 43-ე მუხლის საფუძველზე დიდი პალატისათვის გადაცემულ საქმეებში დიდი პალატის სხდომებში მონაწილეობას არ მიიღებს ის მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო განაცხადის დაშვებადობასთან თუ არსებით განხილვასთან დაკავშირებით საქმის განმხილველი პალატის სხდომებში. აღნიშნული არ ვრცელდება სხენებული პალატის თავმჯდომარესა და შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ მონაწილე მოსამართლეზე.

⁵[5] 2000 წლის 8 დეკემბერს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

ე) დიდი პალატისთვის წარდგენილ თითოეულ კონკრეტულ საქმეში მოსამართლეები და შემცვლელი მოსამართლეები დიდი პალატის შევსების მიზნით დანიშნულნი უნდა იქნენ დარჩენილი მოსამართლეების რიგებიდან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრატორის თანდასწრებით ჩატარებული კენჭისყრით. კენჭისყრის ჩატარების პირობები განსაზღვრული უნდა იქნეს სასამართლო პლენუმის მიერ. პლენუმი ყურადღებას გაამახვილებს გეოგრაფიულად დაბალანსებულ შემადგენლობაზე, რომელიც ასახავს ხელშემკვრელი მხარეების განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებს.

3. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მოსამართლეს ხელი ეშლება სხდომაში მონაწილეობის მიღებაში, მას შეცვლის შემცვლელი მოსამართლე წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის თანახმად. საჭიროების შემთხვევაში სამართალწარმოების მიმდინარეობისას თავმჯდომარე უფლებამოსილია, დანიშნოს დამატებითი შემცვლელი მოსამართლეები წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. წინამდებარე რეგლამენტის დებულებების შესაბამისად დანიშნული მოსამართლეები და შემცვლელი მოსამართლეები რჩებიან დიდი პალატის წევრებად, სანამ დაწყებული საქმის განხილვა არ დამთავრდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამოიწურება მათი მოსამართლეობის ვადა, ისინი მაინც გააგრძელებენ საქმის განხილვაში მონაწილეობას, თუკი მონაწილეობდნენ საქმის არსებით განხილვაში.

5. ა) დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც მოწვეულია კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად წარდგენილი მოთხოვნების განსახილველად, უნდა შედგებოდეს

- სასამართლოს თავმჯდომარისაგან;
- სექციების თავმჯდომარეებისაგან ან, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ვერ ესწრებიან სხდომებს, სექციის თავმჯდომარეების მოადგილეებისაგან. აღნიშნული არ ვრცელდება იმ სექციაზე, რომელში შექმნილმა პალატამაც განიხილა საქმე და გადასცა იურისდიქცია დიდი პალატის სასარგებლოდ;
- სხვა მოსამართლისაგან, რომელიც დანიშნულია იმ მოსამართლეებს შორის როტაციის წესით, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა პალატის წინაშე გამართულ სამართალწარმოებაში.

ბ) კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეული ან ამ სახელმწიფოს მოქალაქე მოსამართლე.

გ) კოლეგიის ნებისმიერი წევრი, რომელსაც არ შეუძლია კოლეგიის სხდომებზე დასწრება, უნდა შეცვალოს სხვა მოსამართლე, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა პალატის წინაშე გამართულ

სამართალწარმოებაში და რომელიც უნდა დაინიშნოს როტაციის წესით.

მუხლი 25
(სექციების შექმნა)

1. კონვენციის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული პალატები (წინამდებარე რეგლამენტში მოხსენიებულია „სექციებად“) უნდა შექმნას სასამართლო პლენუმმა მისი თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე, სამი წლის ვადით რეგლამენტის მე-8 მუხლში გათვალისწინებული სასამართლოს პრეზიდენტის არჩევნიდან. უნდა არსებობდეს, სულ მცირე, ოთხი სექცია.
2. თითოეული მოსამართლე უნდა იყოს სექციის წევრი. სექციის შემადგენლობა უნდა იყოს გეოგრაფიული და სქესის თვალსაზრისით დაბალანსებული და უნდა ასახავდეს ხელშემკვრელ მხარეთა განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებს.
3. როდესაც მოსამართლე წევრებს სასამართლოს წევრობას იმ ვადის გასვლამდე, რომლითაც სექცია შეიქმნა, ამ მოსამართლის ადგილი სექციაში უნდა დაიკავოს მისმა უფლებამონაცვლემ, როგორც სასამართლოს წევრმა.
4. თუკი გარემოებები ამას მოითხოვს, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, გამონაკლისის სახით, შეცვალოს სექციის შემადგენლობა.
5. თავმჯდომარის წინადადებით სასამართლო პლენუმს შეუძლია შექმნას დამატებითი სექცია.

მუხლი 26^[6]
(პალატების შემადგენლობა)

1. კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატები, რომლებიც სასამართლოში შეტანილ საქმეებს განიხილავს, უნდა შედგებოდეს სექციებისაგან შემდგენაირად:

ა) წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტისა და რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბოლო წინადადების მოთხოვნათა შესაბამისად, თითოეულ პალატაში შედის სექციის თავმჯდომარე და მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ. თუ ეს უკანასკნელი მოსამართლე არ არის იმ სექციის წევრი,

^[6] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

რომელსაც განაცხადი განსახილველად გადაეცა რეგლამენტის 51-ე და 52-ე მუხლების თანახმად, მაშინ ის იქნება პალატის *ex officio* წევრი, კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლეს არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება ან თუ იგი გაწვეული იქნება, მაშინ გამოიყენება რეგლამენტის 29-ე მუხლი.

ბ) პალატის დანარჩენ წევრებს ნიშნავს თავმჯდომარე შესაბამისი სექციის წევრ მოსამართლეებს შორის როტაციის წესით.

გ) სექციის ის წევრები, რომლებიც არ არიან ამგვარად დანიშნულნი, მონაწილეობას მიიღებენ შემცვლელი მოსამართლეების სახით.

2. ნებისმიერი შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეული მოსამართლე ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა არჩეული მოსამართლე ან წინამდებარე რეგლამენტის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად არჩეული *ad hoc* მოსამართლე შეიძლება გათავისუფლებული იქნეს პალატის თავმჯდომარის მიერ მოსამზადებელი ან პროცედურულ საკითხებზე გამართული შეხვედრებიდან. მიხნეულია, რომ ასეთი შეხვედრების მიზნებისათვის შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე ამ მოსამართლის ნაცვლად დანიშნავს პირველ შემცვლელ მოსამართლეს წინამდებარე რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

3. მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგაც აგრძელებენ იმ საქმეების განხილვას, რომელთა არსებით მხარესთან დაკავშირებულ განხილვებშიც ისინი მონაწილეობდნენ.

მუხლი 27 (კომიტეტები)

1. კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად უნდა ჩამოყალიბდეს კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაში შევა სამი მოსამართლე ერთი და იმავე სექციიდან. სექციების თავმჯდომარეებთან კონსულტაციის გამართვის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას შესაქმნელი კომიტეტების რაოდენობასთან დაკავშირებით.

2. კომიტეტები იქმნება თორმეტი თვის ვადით თითოეული სექციის წევრებისაგან (გარდა სექციის თავმჯდომარისა) როტაციის წესით.

3. სექციის მოსამართლეები, რომლებიც არ არიან ამ კომიტეტის წევრები, შეიძლება მოწვეულნი იქნენ იმ წევრების ადგილების დასაკავებლად, რომლებიც ვერ ახორციელებენ უფლებამოსილებას.

4. თითოეულ კომიტეტს თავმჯდომარეობს ის წევრი, რომელსაც სექციაში ყველაზე მაღალი რანგი აქვს მინიჭებული.

მუხლი 28¹⁷⁷

(უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა, გაწვევა, გაათავისუფლება)

1. ნებისმიერმა მოსამართლემ, რომელსაც არ ძალუძს იმ სხდომაში მონაწილეობა, რომელზეც მიიწვიეს, ამის შესახებ რაც შეიძლება სწრაფად უნდა აცნობოს პალატის თავმჯდომარეს.

2. მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ საქმის განხილვაში, რომლის მიმართაც აქვს პირადი ინტერესები ან რომელშიც ადრე მონაწილეობდა როგორც მთავრობის წარმომადგენელი, მხარის ადვოკატი თუ მრჩეველი ან როგორც ნებისმიერი პირი, რომელსაც გააჩნდა ამ საქმეში გარკვეული ინტერესები, ან რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებდა სასამართლოს ან საგამომიებო კომისიის წევრის სახით ან ნებისმიერი სხვა სტატუსით.

3. თუ მოსამართლეს გაიწვევენ ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ან სხვა რაიმე განსაკუთრებული მიზეზით, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ პალატის თავმჯდომარეს, რომელიც გაათავისუფლებს მოსამართლეს სხდომიდან.

4. თუ პალატის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ არსებობს მოსამართლის გაწვევის მიზეზი, იგი უნდა მოელაპარაკოს ამ უკანასკნელს; შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს პალატა. შესაბამისი მოსამართლის შეხედულებების მოსმენის შემდეგ პალატა მოითათბირებს და გამართავს კენჭისყრას, რომელსაც ეს მოსამართლე არ დაესწრება. ამ საკითხთან დაკავშირებით პალატის მოთათბირებისა და კენჭისყრის მიზნით მოსამართლეს შეცვლის პალატის პირველი შემცვლელი მოსამართლე. იგივე წესი ვრცელდება ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეულ მოსამართლეზე. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე დანიშნავს პირველ შემცვლელ მოსამართლეს, რომელიც დაიკავებს ადგილს წინამდებარე რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 29¹

(*ad hoc* მოსამართლეები)

1. ა) თუ შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეული მოსამართლე ვერ ახორციელებს უფლებამოსილებას პალატაში ან თუ მას გაიწვევენ ან გაათავისუფლებენ, ანდა თუ ასეთი მოსამართლე არ არსებობს, სასამართლოს თავმჯდომარე შესთავაზებს

¹⁷⁷ 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

ამ ხელშემკვრელ მხარეს, მიუთითოს, ვისი დანიშვნა სურს მოსამართლედ – სხვა არჩეული მოსამართლის თუ ან *ad hoc* მოსამართლისა და განაცხადოს დანიშნული პირის ვინაობა.

ბ) იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუკი პირი, რომელიც დაინიშნა, ვერ ახორციელებს უფლებამოსილებას ან თუ მას გაიწვევენ.

გ) *ad hoc* მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია, რომელიც მოითხოვება კონვენციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით არ უნდა არსებობდეს რაიმე ხელის შემშლელი გარემოება წინამდებარე რეგლამენტის 28-ე მუხლში მითითებული რომელიმე მიზეზით და წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ეს მოსამართლე უნდა აკმაყოფილებდეს ხელმისაწვდომობისა და დასწრების მოთხოვნებს.

2. თუ შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე ოცდაათი დღის განმავლობაში ან პალატის თავმჯდომარის მიერ გაგრძელებული ვადის ბოლომდე პასუხს არ განაცხადებს, მიხეული იქნება, რომ მან უარი თქვა დანიშვნის უფლებაზე. დანიშვნის უფლებაზე უარის თქმად ჩაითვლება ასევე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მიერ *ad hoc* მოსამართლედ ორჯერ ისეთი პირის დანიშვნა, რომელთან მიმართებაშიც პალატა დაადგენს, რომ იგი არ აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

3. პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია, არ შესთავაზოს შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დანიშვნის განხორციელება მანამ, სანამ წინამდებარე რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ხელშემკვრელ მხარეს არ ეცნობება შეტანილი განაცხადის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დანიშვნის განხორციელებამდე მიიჩნევა, რომ შესაბამისმა ხელშემკვრელმა მხარემ არჩეული მოსამართლის ნაცვლად დანიშნა პირველი შემცველი მოსამართლე.

4. მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაინიშნება *ad hoc* მოსამართლედ, საქმის განსახილველად დანიშნული პირველი სხდომის დასაწყისში, რეგლამენტის მე-3 მუხლის შესაბამისად, იგი დადებს ფიცს ან გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას. ეს ქმედება შეტანილი უნდა იქნეს სხდომის ოქმში.

5. *ad hoc* მოსამართლეებს მოეთხოვებათ, სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი იყვნენ და, რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, დაესწრონ პალატის სხდომებს.

მუხლი 30^[8]
(საერთო ინტერესები)

1. თუ ორ ან მეტ განმცხადებელ ან მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს გააჩნიათ საერთო ინტერესები, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია შესთავაზოს მათ, შეთანხმების საფუძველზე დანიშნონ ერთი მოსამართლე, რომელიც არჩეული იქნება ერთ-ერთი შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ, როგორც საერთო ინტერესებში შემავალი მოსამართლე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხდომებში *ex officio* წევრის სახით. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე ირჩევს საერთო ინტერესებში შემავალ მოსამართლეს კენჭისყრით იმ მოსამართლეთა რიგებიდან, რომლებიც მხარეთა მიერ იქნებიან შემოთავაზებული.
2. პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია, არ შესთავაზოს შესაბამის ხელშემკვრელ მხარეებს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად დანიშნის განხორციელება, სანამ რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ხელშემკვრელ მხარეს არ ეცნობება შეტანილი განაცხადის შესახებ.
3. საერთო ინტერესების არსებობასთან ან მსგავს საკითხებთან დაკავშირებით დავების წამოჭრის შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიიღებს პალატა, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ხელშემკვრელი მხარეებისაგან წერილობითი კომენტარების მიღების შემდეგ.

პარი II

პროცედურა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 31
(კონკრეტული გადახვევების შესაძლებლობა)

წინამდებარე კარის დებულებები არ უშლის ხელს სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებთან შესაბამისი მოთათბირების შემდეგ, გადაუხვიოს დებულებებს კონკრეტული საქმეების განხილვისას.

^{8 [8]} 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

მუხლი 32
(პრაქტიკული მითითებები)

სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გასცეს პრაქტიკული მითითებები, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის საქმის მოსმენაზე გამოცხადება და კომენტარებისა და სხვა დოკუმენტების წარდგენა.

მუხლი 33^[9]
(დოკუმენტების საჯარო ხასიათი)

1. განაცხადთან დაკავშირებით რეგისტრატურაში წარდგენილი ყველა დოკუმენტი, რეგლამენტის 62-ე მუხლის შესაბამისად მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ფარგლებში წარდგენილი დოკუმენტაციის გამოკლებით, ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მიზეზების გამო პალატის თავმჯდომარე მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას ან საკუთარი ინიციატივით, ანდა მხარის თუ ნებისმიერი შესაბამისი პირის მოთხოვნით.

2. მთლიანად დოკუმენტის თუ მის რომელიმე ნაწილის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა იმ შემთხვევაში, თუ, თავმჯდომარის შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

3. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წამოყენებული ნებისმიერი მოთხოვნა დოკუმენტების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით უნდა მოიცავდეს დასაბუთებასაც და კონკრეტულად უნდა აღნიშნავდეს, დოკუმენტები სრულად თუ ნაწილობრივ არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

4. პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები და განაჩენები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. პერიოდულად სასამართლომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს წინამდებარე რეგლამენტის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კომიტეტების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია.

^[9] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს და 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

მუხლი 34
(ენის გამოყენება)

1. სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული.
2. განაცხადის დაშვებადობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე განმცხადებლების ან მათი წარმომადგენლების ყველა კომუნიკაცია და კომენტარი, რომლებიც არ არის მომზადებული სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, წარდგენილი უნდა იქნეს რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე.
3. ა) განმცხადებლებისა და მათი წარმომადგენლების ყველა კომუნიკაცია და კომენტარი, რომლებიც ეხება საქმის მოსმენას ან წარდგენილია მას შემდეგ, რაც საქმე არსებით განხილვაზე იქნა დაშვებული, შედგენილი უნდა იყოს სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, თუ პალატის თავმჯდომარე არ დართავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ოფიციალური ენის შემდგომი გამოყენების ნებას.

ბ) თუკი ასეთი რამ ნებადართული იქნა, რეგისტრატორმა უნდა უზრუნველყოს განმცხადებელთა კომენტარებისა თუ განცხადებების ზეპირი ან წერილობითი თარგმანი.
4. ა) ხელშემკვრელ მხარეთა და მესამე მხარეთა ყველა კომუნიკაცია და კომენტარი შედგენილი უნდა იყოს სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. პალატის თავმჯდომარემ შეიძლება დართოს არაოფიციალური ენის გამოყენების ნებართვა.

ბ) თუ ამგვარი რამ ნებადართული იქნა, ზეპირი თუ წერილობითი არგუმენტების ფრანგულად ან ინგლისურად თარგმნის უზრუნველყოფა და საფასურის გაღება მომთხოვნი მხარის პასუხისმგებლობა იქნება.
5. პალატის თავმჯდომარეს უფლება აქვს, შესთავაზოს მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს მისი წერილობითი კომენტარების ამ მხარის ოფიციალურ ენაზე თარგმნის უზრუნველყოფა, რათა განმცხადებელმა შეძლოს კომენტარების გაგება.
6. ნებისმიერ მოწმეს, ექსპერტს თუ სხვა პირს, რომელიც გამოცხადდება სასამართლოს წინაშე, შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ენა, თუ მან სათანადოდ არ იცის ერთ-ერთი ოფიციალური ენა. ასეთ შემთხვევაში საჭირო ზომებს თარგმანის უზრუნველსაყოფად რეგისტრატორი მიიღებს.

მუხლი 35
(ხელშემკვრელ მხარეთა წარმომადგენლობა)

ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენენ მთავრობის წარმომადგენლები, რომელთაც შეუძლიათ ისარგებლონ ადვოკატებისა და მრჩეველების დახმარებით.

მუხლი 36^[10]
(განმცხადებელთა წარმომადგენლობა)

1. პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ პირთა ჯგუფებს საწყის ეტაპზე შეუძლიათ თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარადგინონ კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული განაცხადები.

2. წინამდებარე რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადის შეტანის შესახებ მოპასუხე ხელშემკვრელი მხარისათვის შეტყობინების შემდეგ განმცხადებელი წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ პალატის თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

3. განმცხადებელი ამგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი პალატის წინაშე ნებისმიერი საქმის განხილვაზე. ამასთან, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია, გამონაკლისის სახით, ნება დართოს განმცხადებელს, თავად წარმოადგინოს თავისი საქმე, საჭიროების შემთხვევაში კი ისარგებლოს ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის დახმარებით.

4. ა) განმცხადებლის წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, უნდა ფლობდეს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ლიცენზიას და უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, ან შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც პალატის თავმჯდომარე დაამტკიცებს.

ბ) გამონაკლის შემთხვევებში, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, პალატის თავმჯდომარეს, როდესაც იგი მიიჩნევს, რომ გარემოებები ანდა ადვოკატის თუ წინა ქვეპუნქტის შესაბამისად დანიშნული სხვა პირის მოქმედება იძლევა ამის საფუძველს, შეუძლია გასცეს მითითება, რომ აღნიშნული პირი აღარ არის უფლებამოსილი, წარმოადგინოს განმცხადებელი ან დაეხმაროს მას და რომ განმცხადებელმა სხვა წარმომადგენელს უნდა მიმართოს.

¹⁰ [10] 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

5. ა) ადვოკატს ან სხვა უფლებამოსილ წარმომადგენელს ან პირადად განმცხადებელს, თუკი მას სურს მიიღოს უფლება, თავად წარმოადგინოს საკუთარი საქმე, სათანადოდ უნდა ესმოდეს სასამართლოს ერთ-ერთი ოფიციალური ენა, თუნდაც ნებართვა მომდევნო ქვეპუნქტის შესაბამისად იქნეს გაცემული.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული პირი სათანადოდ ვერ ფლობს სასამართლოს რომელიმე ოფიციალურ ენას, პალატის თავმჯდომარეს წინამდებარე რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შეუძლია გასცეს ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ოფიციალური ენის გამოყენების ნებართვა.

მუხლი 37^{II[11]}

(კომუნიკაციები, შეტყობინებები და გამოძახებები)

1. მთავრობის წარმომადგენლის ან რომელიმე მხარის ადვოკატისთვის მიმართული კომუნიკაციები ან შეტყობინებები მხარეებისათვის გაგზავნილად ითვლება.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირებისათვის (გარდა მთავრობის წარმომადგენლების, ადვოკატების თუ მხარეებისა) მიმართულ რომელიმე კომუნიკაციასთან, შეტყობინებასთან ან გამოძახებასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტს, რომ საჭიროა იმ სახელმწიფოს მთავრობის დახმარება, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნული კომუნიკაცია, შეტყობინება თუ გამოძახება ხორციელდება, სასამართლოს თავმჯდომარემ პირდაპირ უნდა მიმართოს მთავრობას, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს აუცილებელი ზომები.

მუხლი 38

(წერილობითი კომენტარები)

1. წერილობითი კომენტარი ან სხვა დოკუმენტი არ შეიძლება წარდგენილი იქნეს პალატის თავმჯდომარისა თუ მომხსენებელი მოსამართლის (რომელიც შეესაბამება) მიერ წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად დადგენილი ვადის შემდეგ. არც ერთი წერილობითი კომენტარი ან სხვა დოკუმენტი, რომლებიც წარდგენილი იქნება დადგენილი ვადის დარღვევით ან წინამდებარე რეგლამენტის 32-ე მუხლით განსაზღვრული პრაქტიკული მითითებების საწინააღმდეგოდ, არ იქნება შეტანილი საქმის მასალებში, თუ პალატის თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებული დადგენილი ვადის ათვლის თარიღად მიჩნეულია დოკუმენტის გაგზავნის თარიღი,

^{11 [11]} 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ რეგისტრატურაში მიღების თარიღი.

მუხლი 38A^{12[12]}
(პროცესუალური საკითხების განხილვა)

პროცესუალური საკითხები, რომლებიც პალატის გადაწყვეტილებას საჭიროებს, განხილული უნდა იქნეს საქმესთან ერთად, თუ პალატის თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 39
(დროებითი ღონისძიებები)

1. პალატას ან, საჭიროების შემთხვევაში, მის თავმჯდომარეს შეუძლია მხარის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით მიუთითოს მხარეებს ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომლის გამოყენებასაც იგი გადაწყვეტს მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე ან სამართალწარმოების სათანადოდ განხორციელების მიზნით.
2. ამ ღონისძიების შესახებ უნდა ეცნობოს მინისტრთა კომიტეტს.
3. პალატას შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს ინფორმაცია ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პალატის მიერ მითითებულ დროებითი ღონისძიების განხორციელებას.

მუხლი 40
(განმცხადებლისათვის საგანგებო შეტყობინების გაგზავნა)

ნებისმიერი საგანგებო შემთხვევის არსებობისას რეგისტრატორს, პალატის თავმჯდომარის ნებართვით, შეუძლია, სამართალწარმოების განხორციელებისათვის საჭირო სხვა პროცესუალური ღონისძიებებისათვის ხელის შეშლის გარეშე და ხელმისაწვდომი საშუალებებით, აცნობოს შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს განაცხადის შეტანისა და მისი მოკლე შინაარსის შესახებ.

მუხლი 41^{13[13]}
(საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება)

განაცხადების განხილვა ხდება იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი მომზადდება, თუმცა პალატას ან მის თავმჯდომარეს, საკუთარი

^{12[12]} ჩამატებული იქნა სასამართლოს მიერ 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს.

^{13[13]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილებით, შეუძლიათ უპირატესობა მიანიჭონ კონკრეტულ განაცხადს.

მუხლი 42 (აღრე მოქმედი მუხლი 43)
(განაცხადთა გაერთიანება და ერთდროული განხილვა)

1. პალატას შეუძლია, მხარეთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, მოითხოვოს ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანება.
2. მხარეებთან მოლაპარაკების შემდეგ პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთი პალატისთვის განსახილველად გადაცემულ განაცხადებთან დაკავშირებული სამართალწარმოება წარიმართოს ერთდროულად, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს პალატის გადაწყვეტილებას განაცხადების გაერთიანების შესახებ.

მუხლი 43¹⁴⁴ (აღრე მოქმედი მუხლი 44)
(განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება
და განაცხადთა სიაში აღდგენა)

1. სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღების შესახებ კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.
2. როდესაც განმცხადებელი ხელშემკვრელი მხარე აცნობებს რეგისტრატორს თავის გადაწყვეტილებას საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით, პალატას შეუძლია ამიიღოს განაცხადი განსახილველ საქმეთა სიიდან კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, თუკი სხვა შესაბამისი ხელშემკვრელი მხარე ან მხარეები დათანხმდებიან საქმის შეწყვეტაზე.
3. არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოცხადებული განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს განაჩენის ფორმა. მას შემდეგ, რაც განაჩენი საბოლოო გახდება, პალატის თავმჯდომარემ იგი უნდა წარმართოს მინისტრთა კომიტეტში, რათა ამ უკანასკნელმა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აწარმოოს ზედამხედველობა საქმის შეწყვეტაზე, მეგობრულ მორიგებასა თუ საკითხის გადაწყვეტაზე.
4. განსახილველ საქმეთა სიიდან განაცხადის ამოღების შემდეგ განაცხადთან დაკავშირებული ხარჯების საკითხს წყვეტს სასამართლო. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯები დაკისრებულია გადაწყვეტილებაში, რომლითაც განაცხადი არ იქნა დაშვებული

¹⁴⁴[14] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს და 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

არსებით განხილვაზე, პალატის თავმჯდომარე წარმართავს მას მინისტრთა კომიტეტში.

5. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს განაცხადები განაცხადთა სიაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული პირობები ამართლებს ამგვარ ქმედებას.

მუხლი 44^{15[15]}
(მესამე მხარის ჩართვა)

1. ა) როდესაც კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად შეტანილი განაცხადის თაობაზე ეცნობება მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაცხადის ასლს რეგისტრატორი გადასცემს ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ მხარესაც, რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი ამ საქმეში. რეგისტრატორი ანალოგიურად ატყობინებს ნებისმიერ ასეთ ხელშემკვრელ მხარეს საქმეზე ზეპირი მოსმენის გამართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასაც.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარე სურვილს გამოთქვამს, გამოიყენოს კონვენციის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლება, წარადგინოს წერილობითი კომენტარები ან მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში, მან ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს რეგისტრატორს არა უგვიანეს თორმეტი კვირისა წინა ქვეპუნქტში მითითებული შეტყობინების გაგზავნიდან. გამონაკლის შემთხვევებში პალატის თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს სხვა ვადა.

2. ა) მას შემდეგ, რაც შეტანილი განაცხადის შესახებ ეცნობება მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე რეგლამენტის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ან 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების მიზნით, მიიწვიოს ან ნება დართოს ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს (რომელიც არ არის პროცესის მონაწილე) ან ნებისმიერ დაკავშირებულ პირს (არა განმცხადებელს) წარადგინონ წერილობითი კომენტარები ან, გამონაკლის შემთხვევებში, მონაწილეობა მიიღონ საქმის მოსმენაში.

ბ) ამ მიზნით ნებართვის მოთხოვნა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და წარდგენილი წერილობითი ფორმით სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, როგორც ამას წინამდებარე რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, არა უგვიანეს თორმეტი კვირისა მას შემდეგ, რაც შეტანილი განაცხადის შესახებ ეცნობება მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს. გამონაკლის შემთხვევებში პალატის თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს სხვა ვადა.

^{15 [15]} 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

3. ა) დიდი პალატის მიერ განსახილველ საქმეებში წინა პუნქტებით გათვალისწინებული დროის პერიოდების ათვლის წერტილად ჩაითვლება მხარეებისათვის პალატის მიერ წინამდებარე რეგლამენტის 72-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილების – დიდი პალატის სასარგებლოდ იურისდიქციის გადაცემის – შეტყობინება ან დიდი პალატის კოლეგიის მიერ რეგლამენტის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიღებული, საქმის დიდი პალატის სასარგებლოდ გადაცემის თაობაზე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შეტყობინება.

ბ) წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი ვადები, გამონაკლისის სახით, შეიძლება გაგრძელებული იქნეს პალატის თავმჯდომარის მიერ, თუ ამის საკმარისი საფუძველი არსებობს.

4. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მოწვევა ან ნებართვა უნდა ექვემდებარებოდეს პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ნებისმიერ პირობებს, მათ შორის, ვადებს. მაშინ, როდესაც ამგვარი პირობები არ არის დაკმაყოფილებული, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია არ შეიტანოს კომენტარები საქმის მასალებში ან შეზღუდოს საქმის მოსმენაში მონაწილეობა იმგვარად, როგორც იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს.

5. წინამდებარე მუხლის თანახმად წარდგენილი წერილობითი კომენტარები მომზადებული უნდა იქნეს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, როგორც ამას წინამდებარე რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს. ხსენებული კომენტარები რეგისტრატორმა უნდა გადასცეს მხარეებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილი ნებისმიერი პირობებით (ვადების ჩათვლით) წარმოადგინონ საპასუხო წერილობითი კომენტარები ან, საჭიროების შემთხვევაში, საქმის მოსმენაზე გააკეთონ საპასუხო კომენტარები.

თავი II

სამართალწარმოების აღებრა

მუხლი 45 (ხელმოწერები)

1. კონვენციის 33-ე და 34-ე მუხლების თანახმად შეტანილი ნებისმიერი განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს წერილობით და ხელმოწერილი უნდა იქნეს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

2. როდესაც განაცხადი შეტანილია არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფის მიერ, მას ხელს აწერენ ის პირები, რომლებსაც

გააჩნიათ მოცემული ორგანიზაციის ან ჯგუფის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შესაბამისი პალატა ან კომიტეტი გადაწყვეტს ნებისმიერ საკითხს იმასთან დაკავშირებით, იყენენ თუ არა განაცხადზე ხელის მომწერი პირები უფლებამოსილი, განხორციელებინათ ხსენებული ქმედება.

3. თუ განმცხადებლები წარმოდგენილი არიან წინამდებარე რეგლამენტის 36-ე მუხლის შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული მინდობილობა ან წერილობითი უფლებამოსილება გაცემული უნდა იყოს მათი წარმომადგენლის ან წარმომადგენლების მიერ.

მუხლი 46

(სახელმწიფოთაშორისი განაცხადის შინაარსი)

ნებისმიერმა ხელშემკვერელმა მხარემ ან მხარეებმა, რომლებიც მიზნად ისახავენ კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად სასამართლოში საქმის შეტანას, რეგისტრატურაში უნდა წარადგინონ განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება:

ა) იმ ხელშემკვერელი მხარის დასახელება, ვის წინააღმდეგაც არის შეტანილი განაცხადი;

ბ) საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

გ) განცხადება კონვენციის სავარაუდო დარღვევის ან დარღვევების შესახებ და შესაბამისი არგუმენტები;

დ) განცხადება კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დაშვებადობის კრიტერიუმებთან (შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვასა და ექსთენიანი ვადის წესთან) შესაბამისობის შესახებ;

ე) განაცხადის ობიექტი და კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე სავარაუდოდ დაზარალებული მხარისა თუ მხარეების მიერ სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით წამოყენებული ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ ზოგადი მითითება;

და

ვ) მთავრობის წარმომადგენლად დანიშნული პირის (პირების) სახელი, გვარი და მისამართი;

რასაც თან უნდა ერთვოდეს

ზ) ყველა საჭირო დოკუმენტის, განსაკუთრებით კი განაცხადის ობიექტთან დაკავშირებული სასამართლო თუ სხვა გადაწყვეტილებების ასლები.

მუხლი 47^{16[16]}

(ინდივიდუალური განაცხადის შინაარსი)

1. კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად შეტანილი ნებისმიერი განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრატურის მიერ გაცემულ ფორმაზე, თუ შესაბამისი სექციის თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს. განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, სქესი, საქმიანობა და მისამართი.

ბ) წარმომადგენლის, თუკი ასეთი არსებობს, სახელი და გვარი, საქმიანობა და მისამართი.

გ) იმ ხელშემკვერელი მხარის ან მხარეების დასახელება, რომლის წინააღმდეგაც განაცხადია შეტანილი;

დ) მოკლედ ჩამოყალიბებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

ე) მოკლე განცხადება კონვენციის სავარაუდო დარღვევის ან დარღვევების შესახებ და შესაბამისი არგუმენტები;

ვ) მოკლე განცხადება კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დაშვებადობის კრიტერიუმებთან (შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვა და ექვესთვიანი ვადის წესი) შესაბამისობის შესახებ; და

ზ) განაცხადის ობიექტი;

რასაც თან უნდა ერთვოდეს

თ) ყველა საჭირო დოკუმენტის ასლები, განსაკუთრებით კი სასამართლო თუ სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება განაცხადის ობიექტს.

2. გარდა ამისა, განმცხადებლებმა:

ა) უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, კერძოდ, დოკუმენტები და გადაწყვეტილებები, რომლებიც მოხსენიებულია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში და რომლებიც შესაძლებელს ხდის კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დაშვებადობის კრიტერიუმების (შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა

^{16[16]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

საშუალების ამოწურვა და ექსთენიანი ვადის წესი) დაკმაყოფილების წარმოჩენას; და

ბ) უნდა მიუთითონ, წარადგინეს თუ არა თავიანთი პრეტენზიები საერთაშორისო გამოძიებისა თუ მორიგების რომელიმე სხვა პროცედურის საფუძველზე განსახილველად.

3. განმცხადებლებმა, რომელთაც არ სურთ თავიანთი ვინაობის საჯაროდ გაცხადება, უნდა მიუთითონ ამის შესახებ და წარადგინონ სასამართლოს წინაშე აღძრულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობის ჩვეულებრივი წესიდან ამგვარი გადახვევის გამამართლებელი მიზეზები. პალატის თავმჯდომარეს, გამონაკლისის სახით, სათანადოდ გამართლებულ შემთხვევებში, შეუძლია დართოს ანონიმურობის ნება.

4. წინამდებარე მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს უარი განაცხადის განხილვაზე.

5. ზოგადი წესით, განაცხადის წარდგენის თარიღად ჩაითვლება განმცხადებლის მიერ განაცხადის ობიექტთან დაკავშირებით წარდგენილი პირველი კომუნიკაცია (თუნდაც მოკლედ ჩამოყალიბებული). თუმცა სათანადო მიზეზის არსებობისას სასამართლოს შეუძლია განაცხადის წარდგენის თარიღად სხვა თარიღი მიიჩნიოს.

6. განმცხადებლებმა სასამართლოს უნდა აცნობონ მისამართის შეცვლა და განაცხადთან დაკავშირებული ყველა სხვა გარემოება.

თავი III

მომხსენებელი მოსამართლეები

მუხლი 48^[17]

(სახელმწიფოთაშორისი განაცხადები)

1. როდესაც განაცხადი შეტანილია კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განსახილველად შემდგარი პალატა ნიშნავს ერთ ან მეტ მოსამართლეს მომხსენებელ მოსამართლედ, რომელიც შესაბამისი ხელშემკრელი მხარეების მხრიდან წერილობითი კომენტარების წარდგენის შემდეგ ამზადებს მოხსენებას განაცხადის დაშვებადობასთან დაკავშირებით.

^{17[17]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

2. მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა წარადგინოს ყველა იმგვარი მოხსენება, პროექტი და სხვა დოკუმენტი, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს პალატას და მის თავმჯდომარეს ფუნქციების შესრულებაში.

მუხლი 49¹

(ინდივიდუალური განაცხადები)

1. როდესაც განაცხადი შეტანილია კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე, იმ სექციის თავმჯდომარე, რომელსაც საქმე განსახილველად გადაეცა, ნიშნავს მოსამართლეს განაცხადის განმხილველ მომხსენებელ მოსამართლედ.

2. ა) განაცხადების განხილვისას მომხსენებელი მოსამართლეები:

(i) უფლებამოსილი არიან, მოსთხოვონ მხარეებს, განსაზღვრულ დროში წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ფაქტობრივი ინფორმაცია, დოკუმენტები თუ სხვა მასალები, რომლებიც მომხსენებელ მოსამართლეებს საჭიროდ მიაჩნიათ;

(ii) იმ შემთხვევაში, თუ სექციის თავმჯდომარე მიუთითებს, რომ საქმე პალატამ უნდა განიხილოს, გადაწყვიტენ, ვინ უნდა განიხილოს განაცხადი – კომიტეტმა თუ პალატამ.

ბ) როდესაც, მომხსენებელი მოსამართლის აზრით, განმცხადებლის მიერ წარდგენილი მასალები საკმარისია, რათა ნათელი გახდეს, რომ განაცხადი არ უნდა იქნეს დაშვებული არსებით განხილვაზე ან ამოღებული უნდა იქნეს განსახილველ საქმეთა სიიდან, განაცხადი უნდა განიხილოს კომიტეტმა, თუ არ არსებობს რაიმე კონკრეტული მიზეზი აღნიშნულის საპირისპიროდ.

3. მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა წარადგინოს ყველა იმგვარი მოხსენება, პროექტი და სხვა დოკუმენტი, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს კომიტეტს, პალატას ან პალატის თავმჯდომარეს მათი ფუნქციების შესრულებაში.

მუხლი 50

(დიდი პალატის წინაშე გამართული სამართალწარმოება)

როდესაც განაცხადი წარედგინება დიდ პალატას კონვენციის 30-ე ან 43-ე მუხლების საფუძველზე, დიდი პალატის თავმჯდომარე მომხსენებელ მოსამართლედ ნიშნავს დიდი პალატის ერთ წევრს, ხოლო სახელმწიფოთაშორისი განაცხადის შემთხვევაში – ერთ ან მეტ წევრს.

თავი IV

საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

სახელმწიფოთაშორისი განაცხადები

მუხლი 51^{18[18]}

(განაცხადების განსახილველად გადაცემა და შემდგომი სამართალწარმოება)

1. როდესაც განაცხადი შეტანილია კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარე ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს და განსახილველად გადასცემს ამ განაცხადს ერთ-ერთ სექციას.
2. წინამდებარე რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოსამართლეები, რომლებიც არჩეულნი არიან განმცხადებელი და მოპასუხე ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრივ, საქმის განსახილველად შექმნილი პალატის სხდომებს ესწრებიან *ex officio* წევრების სახით. რეგლამენტის 30-ე მუხლის გამოყენება იმ შემთხვევაში ხდება, თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე ხელშემკვრელი მხარის მიერ, ანდა იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე საკითხზე რამდენიმე ხელშემკვრელი მხარის მიერ შეტანილი განაცხადი განიხილება ერთდროულად, წინამდებარე რეგლამენტის 42-ე მუხლის შესაბამისად.
3. სექციისათვის საქმის განსახილველად გადაცემის შემდეგ სექციის თავმჯდომარე ქმნის პალატას რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად და სთავაზობს მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს, განსახილველად წარუდგინოს წერილობითი კომენტარები განაცხადის დაშვებადობასთან დაკავშირებით. ამგვარი კომენტარების შესახებ რეგისტრატორმა უნდა აცნობოს განმცხადებელ ხელშემკვრელ მხარეს, ამ უკანასკნელს კი შეუძლია წარადგინოს საპასუხო წერილობითი შენიშვნები.
4. განაცხადის დაშვებადობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანამდე პალატას ან მის თავმჯდომარეს შეუძლიათ შესთავაზონ მხარეებს დამატებითი წერილობითი კომენტარების წარდგენა.
5. საქმის მოსმენა განაცხადის დაშვებადობასთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს ერთი ან მეტი შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით ან პალატის ინიციატივით.

^{18[18]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

6. სამართალწარმოების წერილობით და, სადაც ეს შესაფერისია, ზეპირად გამართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანამდე პალატის თავმჯდომარე მართავს კონსულტაციებს მხარეებთან.

ინდივიდუალური განაცხადები

მუხლი 52¹

(სექციებისათვის განაცხადების განსახილველად გადაცემა)

1. კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი ყველა განაცხადი სექციას განსახილველად უნდა გადასცეს სასამართლოს თავმჯდომარემ, რომელმაც ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს სექციებს შორის საქმეების სამართლიანი განაწილება.
2. კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატა უნდა ჩამოაყალიბოს შესაბამისი სექციის თავმჯდომარე წინამდებარე რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.
3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პალატის შექმნის პროცედურის დასრულებამდე სექციის თავმჯდომარე ახორციელებს ნებისმიერ უფლებამოსილებას, რომელიც წინამდებარე რეგლამენტის თანახმად მინიჭებული აქვს პალატის თავმჯდომარეს.

მუხლი 53¹⁹[19]

(კომიტეტის წინაშე წარმოებული პროცედურა)

1. იმ შემთხვევაში, როდესაც მომხსენებელი მოსამართლე და ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეული მოსამართლე არ არიან კომიტეტის წევრები, შესაძლებელია მათი მოწვევა საკომიტეტო განხილვებზე დასასწრებად.
2. კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დაუშვებლად გამოაცხადოს განაცხადი ან ამოიღოს იგი განსახილველ საქმეთა სიიდან, როდესაც ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია შემდგომი განხილვის გარეშე. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. განმცხადებელს კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ წერილის საშუალებით უნდა ეცნობოს.
3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არანაირი გადაწყვეტილება არ არის მიღებული, განაცხადი წარიმართება პალატაში, რომელიც შექმნილია საქმის განსახილველად 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 54¹

(პალატის წინაშე წარმოებული პროცედურა)

1. პალატას შეუძლია მიღებისთანავე გამოაცხადოს განაცხადი დაუშვებლად ან ამოიღოს იგი განსახილველ საქმეთა სიიდან.
2. ალტერნატიულად, პალატას ან მის თავმჯდომარეს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ
 - ა) მოსთხოვონ მხარეებს ნებისმიერი სახის იმგვარი ფაქტობრივი ინფორმაციის, დოკუმენტებისა თუ სხვა მასალების წარმოდგენა, რომელთაც პალატა ან მისი თავმჯდომარე საჭიროდ მიიჩნევს;
 - ბ) აცნობონ შეტანილი განაცხადის შესახებ მოპასუხე ხელშემკვრელ მხარეს და შესთავაზონ მას, წარადგინოს წერილობითი კომენტარები განაცხადთან დაკავშირებით, ხოლო მთავრობის კომენტარების მიღების შემდეგ შესთავაზონ განმცხადებელს საპასუხო კომენტარების წარდგენა;
 - გ) შესთავაზონ მხარეებს დამატებითი კომენტარების წერილობით წარდგენა.

¹⁹[19] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

3. საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე პალატას, მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მიიღოს საქმის მოსმენის გამართვის გადაწყვეტილება, თუკი იგი თვლის, რომ ამას მოითხოვს კონვენციით დაკისრებული მისი ფუნქციების განხორციელება. ასეთ შემთხვევაში, თუკი პალატა გამონაკლისის სახით არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას, მხარეებს ეთხოვებათ არგუმენტაციის წარდგენა განაცხადის არსებით მხარესთან დაკავშირებით.

მუხლი 54A^{20[20]}

(განაცხადის დაშვებადობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა)

1. როდესაც პალატა იღებს გადაწყვეტილებას, 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღნობოს ხელშემკერებელ მხარეს განაცხადის შესახებ, მას ასევე შეუძლია გადაწყვიტოს განაცხადის დაშვებადობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში მხარეებს ეთხოვებათ, თავიანთ კომენტარებში ასახონ ნებისმიერი არგუმენტაცია სამართლიან დაკმაყოფილებასთან და ნებისმიერი წინადადება მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნა მიღწეული მეგობრული მორიგება ან სხვაგვარი შეთანხმება და მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე პალატა დარწმუნდება, რომ საქმე დაშვებული უნდა იქნეს და მზად არის არსებითად განსახილველად, მან დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს განაჩენი, რომელშიც პალატის მიერ საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებაც შევა.

3. როდესაც პალატა შესაფერისად ჩათვლის, მას შეუძლია, მხარეთა ინფორმირების შემდგომ, წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებული პროცედურის წინასწარი გამოყენების გარეშე დაუყოვნებლივ მიიღოს ისეთი განაჩენი, რომელიც მოიცავს საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.

სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები

მუხლი 55

(არსებით განხილვაზე დაუშვებლობასთან დაკავშირებული პრეტენზიები)

^{20[20]} ჩამატებული იქნა სასამართლოს მიერ 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს.

არსებით განხილვაზე დაუშვებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზია, რამდენადაც მისი ხასიათი და გარემოებები იძლევა შესაძლებლობას, წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხე ხელშემკერედი მხარის მიერ განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვებასთან დაკავშირებულ წერილობით თუ ზეპირ კომენტარებში, როგორც ეს განსაზღვრულია რეგლამენტის 51-ე ან 54-ე მუხლებით, გააჩნია გარემოებას.

მუხლი 56²¹[21]
(პალატის გადაწყვეტილება)

1. პალატის გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იქნეს, ეს გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული თუ ხმათა უმრავლესობით, და თან უნდა ერთვოდეს დასაბუთება.
2. პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რეგისტრატორი აცნობებს განმცხადებელს. გადაწყვეტილება ასევე ეცნობება შესაბამის ხელშემკერედი მხარესა თუ მხარეებს და ნებისმიერ მესამე მხარეს, რომლებსაც განაცხადის შესახებ ადრეც ეცნობათ წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 57²²[22]
(გადაწყვეტილების ენა)

1. თუ სასამართლო არ გადაწყვეტს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს ორივე ოფიციალურ ენაზე, პალატის ყველა გადაწყვეტილება გაფორმებული უნდა იქნეს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.
2. ამგვარი გადაწყვეტილებები სასამართლოს ოფიციალურ მოხსენებებში 78-ე მუხლის თანახმად გამოქვეყნდება სასამართლოს ორივე ოფიციალურ ენაზე.

თავი V

**განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვების
შემდგომი სამართალწარმოება**

მუხლი 58²³[23]
(სახელმწიფოთაშორისი განაცხადები)

²¹ [21] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.
²² [22] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.
²³ [23] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

1. მას შემდეგ, რაც პალატა გადაწყვეტს, არსებით განხილვაზე დაუშვას კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი განაცხადი, პალატის თავმჯდომარე, მხარეებთან მოთათბირების შემდგომ, ადგენს ვადებს არსებით მხარესთან დაკავშირებული წერილობითი კომენტარების ან ნებისმიერი დამატებითი მტკიცებულების წარმოსადგენად. თუმცა თავმჯდომარეს, შესაბამის ხელშემკვრელ მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე, შეუძლია დაადგინოს, რომ საჭირო არ არის წერილობითი პროცედურა.

2. არსებით განხილვასთან დაკავშირებული მოსმენა გამართული უნდა იქნეს, თუკი ერთი ან მეტი ხელშემკვრელი მხარე ამას მოითხოვს ან თუკი ამას გადაწყვეტს პალატა თავისი ინიციატივით. პალატის თავმჯდომარე ნიშნავს ზეპირ პროცედურას.

მუხლი 59¹

(ინდივიდუალური განაცხადები)

1. მას შემდეგ, რაც კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად იქნება გამოცხადებული, პალატას ან მის თავმჯდომარეს შეუძლიათ შესთავაზონ მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები და წერილობითი კომენტარები.

2. თუ სხვაგვარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მხარეებს კომენტარების წარდგენისათვის თანაბარი ვადები უნდა განესაზღვროთ.

3. მხარეთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით პალატას შეუძლია გამართოს არსებით მხარესთან დაკავშირებული მოსმენა, თუკი ჩათვლის, რომ ეს საჭიროა კონვენციით დაკისრებული მისი ფუნქციების განსახორციელებლად.

4. საჭიროების შემთხვევაში პალატის თავმჯდომარე ნიშნავს წერილობით და ზეპირ პროცედურებს.

მუხლი 60

(სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრეტენზიები)

1. ნებისმიერი პრეტენზია, რომლის წარდგენაც შესაძლოა სურდეს ხელშემკვრელ მხარეს ან განმცხადებელს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატის თავმჯდომარე სხვაგვარად გადაწყვეტს, წარდგენილი უნდა იქნეს წერილობით კომენტარებში არსებით განხილვაზე ანდა თუკი არანაირი სახის ასეთი წერილობითი კომენტარები არ არის წარდგენილი, სპეციალური დოკუმენტის სახით არა უგვიანეს 2 თვისა მას შემდეგ,

რაც გამოტანილი იქნება გადაწყვეტილება განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვებასთან დაკავშირებით.

2. წარდგენილი უნდა იქნეს პუნქტების სახით ჩამოყალიბებული ყველა პრეტენზია, შესაბამის თანმხლებ დოკუმენტაციასთან ან მასალებთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში პალატამ შესაძლოა უარყოს საჩივარი მთლიანად ან ნაწილობრივ.

3. სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე პალატას შეუძლია შესთავაზოს ნებისმიერ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრეტენზიის თაობაზე შენიშვნების წარდგენა.

მუხლი 61 ამოღებულია

მუხლი 62²⁴[24]

(მეგობრული მორიგება)

1. მას შემდეგ, რაც განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოცხადდება, რეგისტრატორი, პალატის ან პალატის თავმჯდომარის მითითებების შესაბამისად, ურთიერთობაში შედის მხარეებთან კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკითხზე მეგობრული მორიგების მიღწევის მიზნით. პალატამ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომელიც შესაფერისად იქნება მიჩნეული ასეთი მორიგების ხელშესაწყობად.

2. კონვენციის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებული მოლაპარაკება კონფიდენციალურია და ზიანს არ მიაყენებს მხარეთა არგუმენტებს დავასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. დავასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში არ შეიძლება მითითება ან დაყრდნობა მეგობრული მორიგების მცდელობის ფარგლებში მიღებულ რაიმე სახის წერილობით თუ ზეპირ ინფორმაციაზე და რაიმე სახის შეთავაზებასა თუ ფაქტის აღიარებაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორი პალატას შეატყობინებს, რომ მხარეებმა მიაღწიეს მეგობრულ მორიგებას, პალატა, მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ მორიგება ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე იქნა მიღწეული, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და თანდართულ ოქმებში, ამოიღებს საქმეს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა სიიდან რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

4. წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები *mutatis mutandis* გამოიყენება რეგლამენტის 54A მუხლით გათვალისწინებულ პროცედურასთან მიმართებაში.

²⁴[24] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

თავი VI

საქმის მოსმენები

მუხლი 63²⁵[25]

(საქმის მოსმენების საჯარო ხასიათი)

1. საქმის მოსმენები საჯაროა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პალატა გამონაკლის გარემოებებში იღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მხარის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის მოთხოვნით.
2. პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნენ დაშვებული მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის რომელიმე ნაწილზე დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა ანდა როდესაც, სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.
3. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წამოჭრილი ნებისმიერი მოთხოვნა საქმის მოსმენის დახურულ სხდომაზე გამართვასთან დაკავშირებით უნდა მოიცავდეს დასაბუთებას და კონკრეტულად უნდა აღნიშნავდეს, მოთხოვნა მთლიანად საქმის მოსმენას ეხება თუ მის რომელიმე ნაწილს.

მუხლი 64¹

(საქმის მოსმენების წარმართვა)

1. პალატის თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს და წარმართავს საქმის მოსმენებს. პალატის თავმჯდომარე ადგენს რიგს, რომლის მიხედვითაც გამოძახებული პირები პალატის წინაშე უნდა წარდგნენ.
2. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია დაუსვას კითხვები პალატის წინაშე წარმდგარ ნებისმიერ პირს.

მუხლი 65¹

(გამოუცხადებლობა)

როდესაც მხარე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე, უარს აცხადებენ სასამართლოს წინაშე წარდგომაზე, პალატას, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს

²⁵ [25] 2003 წლის 7 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

შესაბამისობაში იქნება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებასთან, მაინც შეუძლია გააგრძელოს საქმის მოსმენა.

მუხლები 66-69 ამოღებულია

მუხლი 70^{26[26]}

(საქმის მოსმენის სტენოგრაფიული ჩანაწერი)

1. პალატის თავმჯდომარის ბრძანების შემთხვევაში რეგისტრატორი პასუხისმგებელია, აწარმოოს სტენოგრაფიული ჩანაწერი. ნებისმიერ ასეთ ჩანაწერში აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) პალატის შემადგენლობა;
- ბ) პალატის წინაშე გამოცხადებულ პირთა სია;
- გ) წარდგენილი არგუმენტაციების, დასმული კითხვებისა და გაცემული პასუხების ტექსტი;
- დ) მოსმენის მსვლელობაში მიღებულ გადაწყვეტილებათა ტექსტი.

2. იმ შემთხვევაში, თუ სტენოგრაფიული ჩანაწერი მთლიანად ან ნაწილობრივ არაოფიციალურ ენაზეა წარმოებული, რეგისტრატორი უზრუნველყოფს მის თარგმნას სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

3. მხარეთა წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ სტენოგრაფიული ჩანაწერის ასლები, რათა რეგისტრატორის ან პალატის თავმჯდომარის კონტროლით გააკეთონ შესწორება, მაგრამ შესწორებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა ნათქვამის არსსა და მნიშვნელობაზე. პალატის თავმჯდომარის ინსტრუქციის შესაბამისად რეგისტრატორი ადგენს ვადებს ზემოხსენებული მიზნისათვის.

4. შესწორების შემდეგ სტენოგრაფიულ ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ პალატის თავმჯდომარემ და რეგისტრატორმა. ჩანაწერი მხოლოდ ამის შემდეგ წარმოადგენს დამტკიცებულ მასალას.

^{26[26]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

თავი VII

დიდი პალატის წინაშე გამართული სამართალწარმოება

მუხლი 71^[27]

(პროცედურულ დებულებათა გამოყენება)

1. ნებისმიერი დებულება, რომელიც არეგულირებს პალატების წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებას, უნდა გამოიყენებოდეს, *mutatis mutandis*, დიდი პალატის წინაშე გამართულ სამართალწარმოებასთან მიმართებაში.
2. რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით პალატისათვის მოსმენის გამართვასთან დაკავშირებით მინიჭებული უფლებამოსილება დიდი პალატის წინაშე გამართული სამართალწარმოებისას დიდი პალატის თავმჯდომარის მიერაც განხორციელდება.

მუხლი 72

(პალატის მიერ იურისდიქციის დათმობა
დიდი პალატის სასარგებლოდ)

1. კონვენციის 30-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც პალატის მიერ განსახილველი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციის ან თანდართული ოქმების განმარტებაზე, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ განაჩენთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის ერთ-ერთი მხარე არ იქნება წინააღმდეგი წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. იურისდიქციაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დასაბუთება არ არის საჭირო.
2. რეგისტრატორმა უნდა შეატყობინოს მხარეებს პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურისდიქციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. მხარეებს უნდა მიეცეთ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა წარუდგინონ რეგისტრატორს ჯეროვნად დასაბუთებული პრეტენზია. პრეტენზია, რომელიც არ აკმაყოფილებს ხსენებულ პირობებს, პალატის მიერ დაუსაბუთებლად იქნება მიჩნეული.

მუხლი 73

(მხარის მოთხოვნა საქმის დიდი პალატისათვის)

²⁷[27] 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

გადაცემის შესახებ

1. კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, გამონაკლისის სახით, პალატის მიერ განაჩენის გამოტანიდან სამი თვის ვადაში, წერილობით წარუდგინოს რეგისტრატორს მოთხოვნა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე. თავის მოთხოვნაში მხარემ უნდა დააკონკრეტოს ის სერიოზული საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა თუ მისი ოქმების განმარტებასა თუ გამოყენებაზე, ან ზოგადი მნიშვნელობის სერიოზული საკითხი, რომლის გამოც, მისი აზრით, საჭიროა, რომ საქმე დიდმა პალატამ განიხილოს.
2. მოთხოვნას განიხილავს დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით, რომელიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ მის წინაშე არსებული საქმის მასალების საფუძველზე. კოლეგია დააკმაყოფილებს მოთხოვნას, თუკი მიიჩნევს, რომ საქმე წამოჭრის საკითხს ან პრობლემას. მოთხოვნის უარყოფის დასაბუთება არ არის საჭირო.
3. იმ შემთხვევაში, თუ კოლეგია დააკმაყოფილებს მოთხოვნას, დიდმა პალატამ საქმესთან დაკავშირებით უნდა გამოიტანოს განაჩენი.

თავი VIII

განაჩენები

მუხლი 74

(განაჩენის შინაარსი)

1. კონვენციის 42-ე და 44-ე მუხლების შესაბამისად განაჩენი უნდა მოიცავდეს
 - ა) შესაბამისი პალატის თავმჯდომარისა და პალატის სხვა მოსამართლეების სახელებსა და გვარებს, რეგისტრატორისა და რეგისტრატორის მოადგილეების სახელებსა და გვარებს;
 - ბ) თარიღს, როდესაც განაჩენი იქნა გამოტანილი და გამოცხადებული;
 - გ) მხარეთა აღწერას;
 - დ) მთავრობის წარმომადგენლების, მხარეთა ადვოკატების ან მრჩეველების სახელებსა და გვარებს;
 - ე) წარმართული პროცედურის აღწერას;

- ვ) საქმის ფაქტობრივ გარემოებებს;
- ზ) მხარეთა არგუმენტაციის მოკლე მიმოხილვას;
- თ) კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ი) მოქმედ დებულებებს;
- კ) ხარჯებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას (არსებობის შემთხვევაში);
- ლ) იმ მოსამართლეთა რაოდენობას, რომლებიც შეადგენენ უმრავლესობას;
- მ) სადაც ეს შესაფერისია, განცხადებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ტექსტია ავთენტური.

2. ნებისმიერი მოსამართლე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, უფლებამოსილია, დაურთოს განაჩენს როგორც თავისი განცალკევებული მოსაზრება, რომელიც თანმხვედრი ან განსხვავებულია განაჩენისაგან, ასევე მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება განაჩენს.

მუხლი 75

(სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება)

1. როდესაც პალატა დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის ან თანდართული ოქმების დარღვევას, მან უნდა ასახოს განაჩენში კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, თუკი ეს საკითხი, მას შემდეგ, რაც წამოჭრილი იყო რეგლამენტის მე-60 მუხლის შესაბამისად, მზად არის, რათა მასთან მიმართებაში გამოტანილი იქნეს გადაწყვეტილება; თუ საკითხი არ არის მომზადებული, რათა მასთან მიმართებაში გამოტანილი იქნეს გადაწყვეტილება, პალატა გადადებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებულ განხილვას და დაადგენს შემდგომ პროცედურას.

2. კონვენციის 41-ე მუხლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით პალატა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შედგებოდეს იმავე მოსამართლეებისაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქმის არსებით განხილვაში. როდესაც შეუძლებელი ხდება ასეთი პალატის შექმნა, სასამართლოს თავმჯდომარე ავსებს ან ქმნის პალატას კენჭისყრით.

3. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭებისას პალატას შეუძლია ბრძანოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილება არ მოხდება განსაზღვრულ ვადაში, მინიჭებულ თანხას დაერიცხოს საურავი.

4. როდესაც სასამართლოს გააჩნია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულ მხარესა და პასუხისმგებელ ხელშემკერველ მხარეს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, მან უნდა შეამოწმოს, რამდენად ობიექტურია შეთანხმება და თუ მიიჩნევს, რომ შეთანხმება ობიექტური და მართლზომიერია, ამოიღოს საქმე განსახილველ საქმეთა სიიდან წინამდებარე რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 76^{28[28]}
(განაჩენის ენა)

1. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტს, რომ განაჩენი გამოტანილი უნდა იქნეს ორივე ოფიციალურ ენაზე, ყველა განაჩენი უნდა გაფორმდეს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.
2. ასეთი განაჩენები წინამდებარე რეგლამენტის 78-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს ოფიციალურ მოხსენებებში სასამართლოს ორივე ოფიციალურ ენაზე უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 77
(განაჩენის ხელმოწერა, გამოცხადება და შეტყობინება)

1. განაჩენებს ხელი უნდა მოაწერონ პალატის თავმჯდომარემ და რეგისტრატორმა.
2. განაჩენი საქმის საჯარო მოსმენაზე შეიძლება გამოაცხადოს პალატის თავმჯდომარემ ან სხვა მოსამართლემ, რომელსაც პალატის თავმჯდომარე მიანიჭებს უფლებამოსილებას. მთავრობისა და მხარეთა წარმომადგენლებს საქმის მოსმენის დღის შესახებ სათანადო ვადაში უნდა ეცნობოთ. სხვაგვარად შეტყობინება, რომელიც განხორციელდება წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს განაჩენის შეტყობინებას.
3. განაჩენი გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს. რეგისტრატორი დამოწმებულ ასლებს უგზავნის მხარეებს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ნებისმიერ მესამე მხარესა თუ პირს, ვინც უშუალოდ არის დაკავშირებული საქმესთან. შესაბამისად ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დედანი ინახება სასამართლოს არქივებში.

მუხლი 78
(განაჩენებისა და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნება)

^{28[28]} 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს სასამართლოს მიერ შეტანილი ცვლილება-დამატებების გათვალისწინებით.

კონვენციის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ქვეყნდება შესაბამისი ფორმით და ამაზე რეგისტრატორია პასუხისმგებელი. რეგისტრატორის პასუხისმგებლობით უნდა გამოქვეყნდეს, აგრეთვე, ოფიციალური მოხსენება, რომელიც მოიცავს რჩეულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს, ასევე ნებისმიერი დოკუმენტი, რომლის გამოქვეყნებაც სასამართლოს თავმჯდომარე მიიჩნევს სასარგებლოდ.

მუხლი 79

(მოთხოვნა განაჩენის განმარტების თაობაზე)

1. მხარეს შეუძლია მოითხოვოს განაჩენის განმარტება გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.
2. მოთხოვნა წარედგინება რეგისტრატურას. მოთხოვნაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული ის საკითხი ან საკითხები განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, რომელთა განმარტებაც მოითხოვება.
3. საქმის განმხილველ პალატას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით და უარყოს მოთხოვნა იმის საფუძველზე, რომ არ არსებობს განხილვის გასამართლებელი მიზეზი. როდესაც შეუძლებელია პალატის თავდაპირველი შემადგენლობის შეკრება, სასამართლოს თავმჯდომარე პალატას კენჭისყრით ავსებს ან აყალიბებს.
4. თუ პალატა არ უარყოფს მოთხოვნას, რეგისტრატორი აცნობებს ამას სხვა მხარეს ან მხარეებს და შესთავაზებს მათ ნებისმიერი წერილობითი კომენტარების წარდგენას პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში. თუ პალატა გადაწყვეტს საქმის მოსმენის გამართვას, მოსმენის დღეს პალატის თავმჯდომარე ადგენს. პალატა გადაწყვეტილებას განაჩენის ფორმით იღებს.

მუხლი 80

(განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნა)

1. თუ აღმოჩნდება ისეთი ფაქტი, რომელსაც თავისი ხასიათით საქმეზე გადაწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია და რომელიც განაჩენის გამოტანის მომენტში არ იყო ცნობილი სასამართლოსათვის და არც შესაბამისი მხარისათვის შეიძლებოდა გონივრულად ცნობილი ყოფილიყო, ექვსი თვის ვადაში ასეთი ფაქტის შესახებ ცნობის მოპოვებიდან მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის თხოვნით.
2. მოთხოვნაში მოხსენიებული უნდა იქნეს განაჩენი, რომლის გადასინჯვაც მოითხოვება, და მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში მოთხოვნილი პირობების შესრულების წარმოსაჩენად. მოთხოვნას თან

უნდა ერთვოდეს დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. მოთხოვნა და დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრატურაში.

3. საქმის განმხილველ პალატას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით და უარყოს მოთხოვნა იმის საფუძველზე, რომ არ არსებობს განხილვის გასამართლებელი მიზეზი. როდესაც შეუძლებელია პალატის თავდაპირველი შემადგენლობის შეკრება, სასამართლოს თავმჯდომარე პალატას კენჭისყრით ავსებს ან აყალიბებს.

4. თუ პალატა არ უარყოფს მოთხოვნას, რეგისტრატორი აცნობებს ამას სხვა მხარეს ან მხარეებს და შესთავაზებს მათ ნებისმიერი წერილობითი კომენტარების წარდგენას პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში. თუ პალატა გადაწყვეტს საქმის მოსმენის გამართვას, მოსმენის დღეს პალატის თავმჯდომარე ადგენს. პალატა გადაწყვეტილებას განაჩენის ფორმით იღებს.

მუხლი 81

(გადაწყვეტილებებსა და განაჩენებში შეცდომების გასწორება)

იმ დებულებების დარღვევის გარეშე, რომლებიც განაჩენთა გადასინჯვასა და განაცხადთა სიაში აღდგენას აწესრიგებს, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მიერ გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე გამოასწოროს კანცელარიის მიერ დაშვებული შეცდომები, გამოთვლისას დაშვებული ან აშკარა შეცდომები.

თავი IX

საკონსულტაციო დასკვნები

მუხლი 82

საკონსულტაციო დასკვნებთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას სასამართლო, კონვენციის 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლების გარდა, იყენებს ქვემოთ მოცემულ დებულებებს. სასამართლო ასევე იყენებს წინამდებარე რეგლამენტის დებულებებს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს.

მუხლი 83

საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრატურაში. მოთხოვნაში სრულად და ნათლად უნდა იქნეს ასახული საკითხი, რომელთან

დაკავშირებითაც მოითხოვება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, და ასევე

ა) თარიღი, როდესაც მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენციის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება;

ბ) იმ პირის ან პირთა სახელები, გვარები და მისამართები, რომლებიც დანიშნული არიან მინისტრთა კომიტეტის მიერ, რათა მისცენ სასამართლოს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ახსნა-განმარტებები.

მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ საკითხს.

მუხლი 84

1. მოთხოვნის მიღების შემდეგ რეგისტრატორი გადასცემს მოთხოვნის ასლს სასამართლოს ყველა წევრს.
2. რეგისტრატორი ატყობინებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ სასამართლო მზად არის, მიიღოს მათი წერილობითი კომენტარები.

მუხლი 85

1. სასამართლოს თავმჯდომარე ადგენს წერილობითი კომენტარებისა თუ სხვა დოკუმენტების წარდგენის ვადებს.
2. წერილობითი კომენტარები ან სხვა დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრატურაში. რეგისტრატორმა ასლები უნდა გადასცეს სასამართლოს ყველა წევრს, მინისტრთა კომიტეტსა და თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს.

მუხლი 86

წერილობითი პროცედურის დამთავრების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, უნდა მიეცეთ თუ არა წერილობითი კომენტარების წარმომდგენ ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობა, განავრცონ ეს კომენტარები საქმის ზეპირ მოსმენაზე, რომელიც იმავე მიზნით იმართება.

მუხლი 87

თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის თაობაზე არ შედის მის საკონსულტაციო კომპეტენციაში,

როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 47-ე მუხლით, მან ეს უნდა განაცხადოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში.

მუხლი 88

1. საკონსულტაციო დასკვნები მიიღება დიდი პალატის მიერ ხმათა უმრავლესობით. დასკვნებში მოხსენიებული უნდა იქნეს უმრავლესობის შემადგენელი მოსამართლეების რაოდენობა.

2. სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია, სასამართლოს დასკვნას თან დაურთოს საკონსულტაციო დასკვნასთან თანმხვედრი ან მისგან განსხვავებული განცალკევებული მოსაზრება ან მხოლოდ განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება დასკვნას.

მუხლი 89

საკონსულტაციო დასკვნა საქმის საჯარო მოსმენაზე სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე უნდა გამოაცხადოს სასამართლოს თავმჯდომარემ ან სხვა მოსამართლემ, რომელსაც თავმჯდომარე მიანიჭებს უფლებამოსილებას; ამის შესახებ წინასწარი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მინისტრთა კომიტეტს და თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს.

მუხლი 90

რეგლამენტის 84-ე მუხლის თანახმად მიღებული დასკვნა ან ნებისმიერი გადაწყვეტილება ხელმოწერილი უნდა იქნეს სასამართლოს თავმჯდომარისა და რეგისტრატორის მიერ. ჯეროვნად ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დედანი შეინახება სასამართლოს არქივში. რეგისტრატორმა დამოწმებული ასლები უნდა გაუგზავნოს მინისტრთა კომიტეტს, ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

თავი X

სამართლებრივი დახმარება

მუხლი 91

1. კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად განაცხადის წარმდგენი განმცხადებლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მიანიჭოს განმცხადებელს უფასო სამართლებრივი დახმარება საქმის წარდგენასთან დაკავშირებით იმ მომენტიდან, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოსგან მიღებული იქნება საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებული წერილობითი კომენტარები

წინამდებარე რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ან როდესაც ამოიწურება სახელმწიფოსათვის კომენტარების წარსადგენად დადგენილი ვადა.

2. წინამდებარე რეგლამენტის 96-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც განმცხადებელს მიენიჭება სამართლებრივი დახმარება პალატის წინაშე მისი საქმის წარდგენასთან დაკავშირებით, ხსენებული დახმარება ძალაში დარჩება განმცხადებლის დიდი პალატის წინაშე წარდგენის შემთხვევაშიც.

მუხლი 92

სამართლებრივი დახმარების მინიჭება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პალატის თავმჯდომარე მიიჩნევს,

- ა) რომ იგი აუცილებელია პალატის წინაშე საქმის ჯეროვნად წარმართვისათვის;
- ბ) რომ განმცხადებელს არ გააჩნია საკმარისი საშუალებები გაწეული ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარავად.

მუხლი 93

1. იმისათვის, რომ განსაზღვრული იქნეს, გააჩნიათ თუ არა განმცხადებლებს საკმარისი საშუალებები გაწეული ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დასაფარავად, განმცხადებლებს მოეთხოვებათ დეკლარაციის ფორმების შევსება. ამ ფორმაში მათ უნდა ასახონ თავიანთი შემოსავალი, აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მათ კმაყოფაზე მყოფი პირების მიმართ ანდა ნებისმიერი სხვა ფინანსური ვალდებულება. დეკლარაცია დამოწმებული უნდა იქნეს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსა თუ ორგანოების მიერ.

2. შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს უნდა ეთხოვოს წერილობითი კომენტარების წარდგენა.

3. წინამდებარე მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში მოხსენიებული ინფორმაციის მიღების შემდეგ პალატის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, მიანიჭოს თუ არა განმცხადებელს სამართლებრივი დახმარება. მიღებულ გადაწყვეტილებას მხარეებს რეგისტრატორი აცნობებს.

მუხლი 94

1. რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დანიშნულ ადვოკატებს ან სხვა პირებს უნდა მიეცეთ შესაბამისი ჰონორარი.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჰონორარის გადახდა ერთზე მეტი წარმომადგენლისათვის.

2. სამართლებრივი დახმარება შეიძლება მინიჭებული იქნეს არა მარტო წარმომადგენელთა ჰონორარების დასაფარავად, არამედ მგზავრობისა და ცხოვრებისთვის გაღებული ხარჯებისა და სხვა აუცილებელი ხარჯებისთვისაც, რომლებიც გაიღო განმცხადებელმა ან დანიშნულმა წარმომადგენელმა.

მუხლი 95

სამართლებრივი დახმარების მინიჭებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში რეგისტრატორი აღგენს

- ა) სამართლებრივი დახმარების ძალაში მყოფი განაკვეთის შესაბამისად გადასახდელი ჰონორარის ოდენობას;
- ბ) გაღებული ხარჯებისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას.

მუხლი 96

თუ პალატის თავმჯდომარე დარწმუნდება, რომ რეგლამენტის 92-ე მუხლში განსაზღვრული მოთხოვნები აღარ არის დაკმაყოფილებული, მას შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ან შეცვალოს სამართლებრივი დახმარება.

პარი III

ბარდამავალი დებულებები

მუხლი 97

(მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადები)

იმ მოსამართლეთა უფლებამოსილების ხანგრძლივობა და ვადები, რომლებიც სასამართლოს წევრები იყვნენ კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის დროისათვის, აითვლება ოქმის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 98

(სექციების თავმჯდომარეობა)

კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში

ა) უფლებამოსილების 18 თვიანი ვადით არჩეული უნდა იქნეს სექციების ორი თავმჯდომარე, რომლებიც ამავე დროს არ არიან სასამართლოს თავმჯდომარისა და სექციების თავმჯდომარეების მოადგილეები;

ბ) არ შეიძლება სექციების თავმჯდომარეთა მოადგილეების დაუყოვნებლივ ხელახლა არჩევა.

მუხლი 99

(ურთიერთობა სასამართლოსა და კომისიას შორის)

1. იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც სასამართლოში შეტანილია კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს კომისიას ერთი ან მეტი წევრის დელეგირება სასამართლოს წინაშე წარმოებულ საქმესთან დაკავშირებულ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კომისიის მოხსენება, მიღებული კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლის შესაბამისად.

3. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატის თავმჯდომარე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, რეგისტრატორმა უნდა უზრუნველყოს ხსენებული მოხსენების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის მაქსიმალურად სწრაფად მას შემდეგ, რაც საქმე სასამართლოს წარედგინება.

4. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატის თავმჯდომარე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, კომისიის დანარჩენი საქმის მასალები, მათ შორის ყველა კომენტარი, თუკი ისინი წარმოდგენილია სასამართლოს წინაშე კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად, კონფიდენციალურია.

5. იმ შემთხვევებში, როდესაც კომისია მოიპოვებს მტკიცებულებებს, მაგრამ ვერ შეძლებს მოხსენების მომზადებას კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მხედველობაში მიიღებს სტენოგრაფიულ ჩანაწერებს, დოკუმენტაციას და კომისიის დელეგაციების მოსაზრებებს, რომლებიც წამოიჭრება გამოძიების შედეგად.

მუხლი 100

(სამართალწარმოება პალატასა და დიდ პალატაში)

1. კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დიდი პალატის კოლეგია, რომელიც შექმნილია

რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-6^{29[29]} პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ მის წინაშე წარდგენილი საქმის მასალების საფუძველზე განსაზღვრავს, ვინ უნდა განიხილოს საქმე – პალატამ თუ დიდმა პალატამ.

2. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი იქნება პალატის მიერ, მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად პალატის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება და ამ შემთხვევაში რეგლამენტის 73-ე მუხლი არ გამოიყენება.

3. სასამართლოსთვის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გადაცემულ საქმეებს სასამართლოს თავმჯდომარე დიდ პალატას გადასცემს.

4. სასამართლოსთვის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გადაცემული თითოეული საქმისათვის დიდი პალატა უნდა შეივსოს იმ მოსამართლეებით, რომლებიც დანიშნულნი არიან როტაციის წესით 24-ე მუხლის მე-3¹ პუნქტში მოხსენიებულ რომელიმე ჯგუფში. საქმეები ჯგუფებს რიგრიგობით დაეწერებათ.

მუხლი 101

(სამართლებრივი დახმარების მინიჭება)

წინამდებარე რეგლამენტის 96-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წინაშე კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2–მე-5 პუნქტების საფუძველზე წარდგენილ საქმეებში განმცხადებლისთვის მინიჭებული სამართლებრივი დახმარება კომისიის ან ადრე მოქმედი სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებისას ძალაში უნდა დარჩეს განმცხადებლის სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით.

მუხლი 102

(მოთხოვნა განაჩენის განმარტების ან გადასინჯვის თაობაზე)

1. როდესაც მხარე ითხოვს ადრე მოქმედი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის განმარტებას ან გადასინჯვას, სასამართლოს თავმჯდომარე აღნიშნულ თხოვნას განსახილველად გადასცემს ერთ-ერთ პალატას რეგლამენტის 51-ე და 52-ე მუხლებში (გაანჩია შემთხვევას) ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად.

2. თხოვნის განსახილველად შესაბამისი სექციის თავმჯდომარე, მიუხედავად რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-80 მუხლის მე-3 პუნქტისა, ქმნის ახალ პალატას.

3. ახალ პალატაში *ex officio* წევრების სახით უნდა შედიოდნენ:

ა) სექციის თავმჯდომარე;

^{29[29]} 2000 წლის 8 დეკემბრამდე მოქმედი ვერსია.

და, იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა ქვემოთ აღნიშნული პირები შესაბამისი სექციის წევრები,

ბ) შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრივ არჩეული მოსამართლე ან, იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია მონაწილეობის მიღება, წინამდებარე რეგლამენტის 29-ე მუხლის თანახმად დანიშნული ნებისმიერი მოსამართლე;

გ) ნებისმიერი მოსამართლე, რომელიც იყო ადრე მოქმედი სასამართლოს განაჩენის გამომტანი პალატის წევრი.

4. ა) პალატის სხვა წევრები ინიშნებიან სექციის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი სექციის წევრებს შორის კენჭისყრის მეშვეობით;

ბ) პალატის წევრები, რომლებიც არ არიან აღნიშნული გზით არჩეულები, საქმეში მონაწილეობას მიიღებენ შემცველი მოსამართლეების სახით.

პარო IV

დასკვნითი დებულებები

მუხლი 103

(რეგლამენტის მუხლში ცვლილება-დამატებების შეტანა ან მუხლის შეჩერება)

1. რეგლამენტის ნებისმიერი მუხლი შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილება-დამატებებს შეტყობინების შემდეგ შუამდგომლობის საფუძველზე, როდესაც შუამდგომლობა განხორციელდება მომავალ სასამართლო პლენუმზე სასამართლოს წევრთა უმრავლესობის მიერ. ინფორმაცია ასეთი შუამდგომლობის შესახებ წერილობითი ფორმით გადაეცემა რეგისტრატორს სულ მცირე ერთი თვით ადრე იმ სესიამდე, რომელზეც საკითხი უნდა იქნეს განხილული. შუამდგომლობის შესახებ შეტყობინების მიღებას რეგისტრატორი სასამართლოს ყველა წევრს მაქსიმალურად სწრაფად აცნობებს.

2. წინამდებარე რეგლამენტის მუხლი, რომელიც ეხება სასამართლოს შიდა მუშაობას, შეიძლება შეჩერებული იქნეს შუამდგომლობის საფუძველზე წინასწარი შეტყობინების გარეშე, მაგრამ ხსენებული გადაწყვეტილება შესაბამისი პალატის მიერ ერთხმად უნდა იქნეს მიღებული. ამ შემთხვევაში რეგლამენტის მუხლის შეჩერება შეზღუდული უნდა იქნეს იმ მიზნით, რომლისთვისაც იგი გათვალისწინებულია.

მუხლი 104³⁰[30]
(რეგლამენტის ძალაში შესვლა)

წინამდებარე რეგლამენტი ძალაში შედის 1998 წლის 1 ნოემბერს.

რეგლამენტის დანართი³¹[31]

(გამოძიებასთან დაკავშირებით)

მუხლი A1
(საგამოძიებო მოქმედებები)

1. მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით პალატას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სახის საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ საქმის ფაქტობრივი მხარის გამოსარკვევად. პალატას, *inter alia*, შეუძლია სთხოვოს მხარეებს დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა და მიიღოს გადაწყვეტილება, მოუსმინოს მოწმის ან ექსპერტის სახით ან ნებისმიერი სხვა სტატუსით ნებისმიერ პირს, რომლის მტკიცებულებებსა თუ ჩვენებებს შეუძლია დახმარება გაუწიოს სასამართლოს მისი ამოცანების განხორციელებაში.
2. პალატას ასევე შეუძლია საკუთარი არჩევანისამებრ მიმართოს ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას თხოვნით, გამოთქვან მოსაზრება ან წარადგინონ წერილობითი მოხსენება საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ განსახილველი ნებისმიერი საკითხის შესახებ.
3. მას შემდეგ, რაც საქმე არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოცხადდება, გამონაკლისის სახით კი დაშვებადობის გადაწყვეტილების გამოტანამდე, პალატას შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე თავისი წევრი ან სასამართლოს სხვა მოსამართლეები თავის დელეგატად ან დელეგატებად, რათა მათ განახორციელონ მოკვლევა, ადგილზე აწარმოონ გამოძიება ან სხვაგვარად მოიპოვონ მტკიცებულებები. პალატას საკუთარი არჩევანისამებრ შეუძლია დანიშნოს, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი ან დაწესებულება, რათა მათ დახმარება გაუწიონ დელეგაციას იმგვარად, როგორც ამას პალატა მიიჩნევს შესაფერისად.
4. წინამდებარე თავის დებულებები, რომლებიც ეხება დელეგაციის მიერ განსახორციელებელ საგამოძიებო მოქმედებებს, გამოიყენება, *mutatis mutandis*, პალატის მიერ თავად განხორციელებულ ნებისმიერ სხვა სახის სამართალწარმოებასთან დაკავშირებითაც.

³⁰ [30] 2000 წლის 8 დეკემბერს მიღებული ცვლილება-დამატებები ძალაში დაუყოვნებლივ შევიდა. 2002 წლის 17 ივნისსა და 8 ივლისს მიღებული ცვლილება-დამატებები ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ოქტომბერს. 2003 წლის 7 ივლისს მიღებული ცვლილება-დამატებები ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ნოემბერს.

³¹ ჩამატებული იქნა სასამართლოს მიერ 2003 წლის 7 ივლისს.

5. სამართალწარმოება, რომელიც პალატის ან დელეგაციის მიერ განხორციელებული გამოძიების ნაწილს წარმოადგენს, წარმოებული უნდა იქნეს კონფიდენციალურად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატის თავმჯდომარე ან დელეგაციის ხელმძღვანელი სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

6. პალატის თავმჯდომარეს შეუძლია, თუკი ამას შესაფერისად მიიჩნევს, მოიწვიოს ან ნება დართოს ნებისმიერ მესამე მხარეს, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში. მონაწილეობის პირობები თავმჯდომარემ უნდა ჩამოაყალიბოს; თავმჯდომარეს შეუძლია შეზღუდოს მონაწილეობა, თუკი ხსენებული პირობები არ იქნება შესრულებული.

მუხლი A2

(მხარეთა ვალდებულებები საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით)

1. განმცხადებელმა და შესაბამისმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ყველანაირი აუცილებელი დახმარება უნდა გაუწიონ სასამართლოს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაში.

2. ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება დელეგაციის მიერ ადგილზე წარმოებული სამართალწარმოება, უზრუნველყოფს დელეგაციას იმ დახმარებითა და თანამშრომლობით, რომლებიც აუცილებელია სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვისათვის, მათ შორის, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნება, ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლებას და უსაფრთხოების ყველა შესაბამის ღონისძიებას დელეგაციისათვის, განმცხადებლისა და ყველა მოწმისათვის, ექსპერტებისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც შეიძლება დაკითხულნი იქნენ დელეგაციის მიერ. ხელშემკვრელ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა, მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ არც ერთმა პირმა თუ ორგანიზაციამ არ განიცადონ რაიმე უარყოფითი შედეგი მათ მიერ დელეგაციისათვის წარდგენილი მტკიცებულებების ან გაწეული დახმარების გამო.

მუხლი A3

(დელეგაციის წინაშე გამოუცხადებლობა)

როდესაც მხარე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც უნდა გამოცხადებულიყო დელეგაციის წინაშე, არ ცხადდება ან უარს ამბობს გამოცხადებაზე, დელეგაციას შეუძლია მაინც გააგრძელოს სამართალწარმოება, თუკი მიიჩნევს, რომ ასეთი ვითარება აკმაყოფილებს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისთვის საჭირო პირობებს.

მუხლი A4

(სამართალწარმოების წარმართვა დელეგაციის წინაშე)

1. დელეგატები ახორციელებენ ნებისმიერ უფლებამოსილებას, რომელიც მინიჭებული აქვს პალატას კონვენციით ან წინამდებარე რეგლამენტით, და ახორციელებენ კონტროლს მათ წინაშე წარმოებულ სამართალწარმოებაზე.
2. დელეგაციის ხელმძღვანელმა შეიძლება გადაწყვიტოს მოსამზადებელი შეხვედრის გამართვა მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან მანამდე, სანამ გაიმართება ნებისმიერი სახის სამართალწარმოება დელეგაციის წინაშე.

მუხლი A5

(მოწმეთა, ექსპერტთა და სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა პირთა გამოძახება დელეგაციის წინაშე)

1. დელეგაციის მიერ დასაკითხ მოწმეებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს რეგისტრატორი გამოიძახებს.
2. გამოძახების უწყებაში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) საქმე, რომელთან დაკავშირებითაც ეს უწყება გაიცა;
 - ბ) გამოძიების ობიექტი, ექსპერტის მოსაზრება ან სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომლის განხორციელებაც ნაბრძანებო იქნა პალატის ან პალატის თავმჯდომარის მიერ;
 - გ) გამოძახებული პირისთვის გადასახდელი თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებული პირობები.
3. რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მხარეები უზრუნველყოფენ საკმარის ინფორმაციას მოწმეთა, ექსპერტთა და სხვა გამოსაძახებელ პირთა ვინაობისა და მისამართების დასადგენად.
4. წინამდებარე რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარე, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს მოწმე, პასუხისმგებელია, გადასცეს მას გამოძახების უწყება, რომელიც მას გამოუგზავნა პალატამ მოწმისათვის გადასაცემად. იმ შემთხვევაში, თუ გამოძახების უწყების გადაცემა შეუძლებელია, ხელშემკვრელმა მხარემ წერილობით უნდა მიუთითოს ხელშემკვრელი მიზეზები. ხელშემკვრელმა მხარემ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს მისი იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ გამოძახებულ პირთა დასწრება.
5. დელეგაციის ხელმძღვანელს შეუძლია მოითხოვოს მოწმეების, ექსპერტებისა და სხვა პირების დასწრება დელეგაციის მიერ ადგილზე ჩატარებული სამართალწარმოების პერიოდში. ამგვარი მოთხოვნის

შემთხვევაში ხელშემკვრელი მხარე, რომლის ტერიტორიაზეც წარმართება აღნიშნული სამართალწარმოება, მიიღებს ყველა გონივრულ ზომას მოწმეთა დასწრების ხელშესაწყობად.

6. როდესაც მოწმე, ექსპერტი ან სხვა პირი გამოძახებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნით ან დავალებით, სასამართლოს წინაშე მათ გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა დაფაროს ამ ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატა სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს. სასამართლოს წინაშე ნებისმიერი ისეთი პირის გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც პატიმრობაში იმყოფება ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს ადგილზე წარმოებული სამართალწარმოება, უნდა დაფაროს ამ ხელშემკვრელმა მხარემ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პალატა სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, ასეთი ხარჯები ევროპის საბჭოს მიერ უნდა დაიფაროს თუ იმ განმცხადებლის ან მესამე მხარის მიერ, რომლის მოთხოვნით ან დავალებითაც წარდგება სსენებული პირი სასამართლოს წინაშე, პალატა იღებს. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ხარჯები დაკისრებული უნდა იქნეს პალატის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი A6

(დელეგაციის მიერ დასაკითხ მოწმეთა და ექსპერტთა ფიცი ან ოფიციალური განცხადება)

1. მოწმის ვინაობის დადგენის შემდეგ, ჩვენების მიცემამდე, თითოეული მოწმე დებს ფიცს ან აკეთებს შემდეგ ოფიციალურ განცხადებას:

„ეფიცავ,“ – ან „ოფიციალურად ვაცხადებ ჩემი ღირსებისა და სინდისის წინაშე,“ – „რომ ვილაპარაკებ სიმართლეს, სრულ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა.“

ეს ქმედება აღნიშნული უნდა იქნეს სხდომის ოქმში.

2. ექსპერტის ვინაობის დადგენის შემდეგ და დელეგაციის წინაშე მისი ამოცანის განხორციელებამდე ნებისმიერი ექსპერტი დებს ფიცს ან აკეთებს შემდეგ ოფიციალურ განცხადებას:

„ეფიცავ,“ – ან „ოფიციალურად ვაცხადებ,“ – „რომ განვახორციელებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს როგორც ექსპერტი პატიოსნად და სინდისიერად“.

ეს აქტი აღნიშნული უნდა იქნეს სხდომის ოქმში.

მუხლი A7

(დელეგაციის მიერ მოწმეთა, ექსპერტთა და სხვა პირთა მოსმენა)

1. ნებისმიერ დელეგატს უფლება აქვს, დაუსვას კითხვები მთავრობის წარმომადგენელს, მხარეების ადვოკატებსა თუ მრჩეველებს, განმცხადებელს, მოწმეებსა და ექსპერტებს, აგრეთვე, დელეგაციის წინაშე წარმდგარ ნებისმიერ პირს.
2. მთავრობის წარმომადგენელს ან მხარეთა ადვოკატებსა და მრჩეველებს დელეგაციის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შეუძლიათ დაუსვან კითხვები მოწმეებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს, რომლებიც დელეგაციის წინაშე წარდგნენ. დასმულ კითხვასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიის თაობაზე გადაწყვეტილებას დელეგაციის ხელმძღვანელი იღებს.
3. გარდა გამონაკლისი გარემოებებისა და დელეგაციის ხელმძღვანელის თანხმობისა, მოწმეები, ექსპერტები და სხვა პირები, რომლებიც უნდა წარდგნენ დელეგაციის წინაშე, არ დაიშვებიან სასამართლო სხდომის ოთახში ჩვენების მიცემამდე.
4. დელეგაციის ხელმძღვანელს შეუძლია დაადგინოს საგანგებო წესები მოწმეთა, ექსპერტთა და სხვა პირთა დასაკითხავად მხარეთა დაუსწრებლობის შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესები.
5. გადაწყვეტილებას ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშობა მოწმის ან ექსპერტის მიმართ გამოთქმული პრეტენზიის საფუძველზე, დელეგაციის ხელმძღვანელი იღებს. დელეგაციას შეუძლია ინფორმაციის მიღების მიზნით მოუსმინოს იმ პირს, რომელიც არ არის კვალიფიცირებული როგორც მოწმე ან ექსპერტი.

მუხლი A8

(დელეგაციის წინაშე წარმოებული სამართალწარმოების სტენოგრაფიული ჩანაწერი)

1. გამოძიებასთან დაკავშირებით დელეგაციის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიების სტენოგრაფიულ ჩანაწერს რეგისტრატორი აწარმოებს. სტენოგრაფიულ ჩანაწერში აღნიშნული უნდა იყოს:
 - ა) დელეგაციის შემადგენლობა;
 - ბ) დელეგაციის წინაშე წარსადგომი პირების, ანუ მთავრობის წარმომადგენლების, სამართალწარმოების მხარეთა ადვოკატებისა და მრჩეველების, სია;
 - გ) ყოველი მოწმის, ექსპერტისა თუ სხვა დასაკითხი პირის სახელი, გვარი, აღწერა და მისამართი;

დ) გაკეთებულ განცხადებათა, დასმულ კითხვათა და გაცემულ პასუხთა ტექსტი;

ე) დელეგაციის ან მისი ხელმძღვანელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ტექსტი.

2. იმ შემთხვევაში, თუ სტენოგრაფიული ჩანაწერი მთლიანად ან ნაწილობრივ არაოფიციალურ ენაზეა წარმოებული, მის თარგმნას სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე რეგისტრატორი უზრუნველყოფს.

3. მხარეთა წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ სტენოგრაფიული ჩანაწერების ასლები, რათა რეგისტრატორის ან დელეგაციის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით გააკეთონ შესწორება; შესწორებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა ნათქვამის არსსა და მნიშვნელობაზე. დელეგაციის ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად რეგისტრატორი ადგენს ვადებს ზემოხსენებული მიზნისათვის.

4. შესწორების შემდეგ სტენოგრაფიულ ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ დელეგაციის ხელმძღვანელმა და რეგისტრატორმა. მხოლოდ ამის შემდეგ წარმოადგენს ჩანაწერი დამტკიცებულ მასალას.

პრაქტიკული მითითებები^{32[32]}

მოთხოვნა დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით

(სასამართლოს რეგლამენტის მუხლი 39)

განმცხადებლები ან მათი სამართლებრივი წარმომადგენლები^{33[33]}, რომლებიც წარადგენენ სასამართლოში დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთ მითითებულ მოთხოვნებს.

ზემოხსენებული მოთხოვნის შეუსრულებლობა შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ სასამართლო არ განიხილავს ასეთ მოთხოვნებს ჯეროვნად და გონივრულ ვადაში.

I. მოთხოვნის წარდგენა ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან კურიერის მეშვეობით

რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით საგანგებო შემთხვევაში,

³² [32] გამოცემულია 2003 წლის 5 მარტს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სასამართლოს რეგლამენტის 32-ე მუხლის შესაბამისად.

³³ [33] წარმოდგენილი უნდა იქნეს სრული საკონტაქტო მონაცემები.

განსაკუთრებით კი ექსტრადიციასა და დეპორტაციასთან დაკავშირებულ საქმეებში, გაგზავნილი უნდა იქნეს ფაქსით, ელექტრონული ფოსტით^{34 [34]} ან კურიერის მეშვეობით. როდესაც ეს შესაძლებელია, მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. ყველა მოთხოვნას უნდა ჰქონდეს შემდეგი სათაური, რომელიც მკვეთრი შრიფტით უნდა ეწეროს მოთხოვნის თავსართზე:

„რეგლამენტის მუხლი 39 – საგანგებო/მუხლი 39 – საგანგებო“

მოთხოვნა ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი უნდა იქნეს სამუშაო საათების განმავლობაში,^{35 [35]} გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. თუ მოთხოვნა გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით, იმავე დროს უნდა გაიგზავნოს მოთხოვნის ამობეჭდილი ასლიც. ასეთი მოთხოვნები არ უნდა იქნეს გაგზავნილი ჩვეულებრივი ფოსტით, რადგან არსებობს საფრთხე, რომ გზავნილი დროულად არ ჩავა სასამართლოში, რათა შესაძლებელი იყოს მოთხოვნის ჯეროვნად განხილვა.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოსალოდნელ დროში არ უპასუხებს წინამდებარე რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებულ სასწრაფო მოთხოვნას, განმცხადებლებმა ან მათმა წარმომადგენლებმა სამუშაო საათებში ტელეფონითაც უნდა დარეკონ რეგისტრატურაში.

II. მოთხოვნების წარდგენა გონივრულ ვადაში

ჩვეულებრივ, მოთხოვნები დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით მიღებული უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად ეროვნულ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან, რათა სასამართლოს და მის რეგისტრატურას მიეცეთ საკმარისი დრო საკითხის განსახილველად.

თუმცა ექსტრადიციისა და დეპორტაციის შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია დაუყოვნებელი ზომების მიღება გადაცემის შესაჩერებლად ეროვნულ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, უკეთესი იქნებოდა მოთხოვნისა და მოთხოვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე წარდგენა.

^{34 [34]} რეგისტრატურის წევრის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მას შემდეგ, რაც განხორციელდება შესაბამის პირთან პირველი სატელეფონო კონტაქტი. ტელეფონისა და ფაქსის ნომრების მოძიება შესაძლებელია სასამართლოს ინტერნეტკვარდზე (www.echr.coe.int).

^{35 [35]} სასამართლოს სამუშაო საათებია: დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე ორშაბათიდან პარასკევამდე. საფრანგეთის დრო გრინვიჩის დროზე (GMT) ერთი საათით წინ არის.

განმცხადებლებმა და მათმა წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, რომ შესაძლოა არ მოხერხდეს ბოლო მომენტში გაგზავნილი მოთხოვნების დროულად და ჯეროვნად განხილვა.

III. თანდართული ინფორმაცია

მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნას თან ერთვოდეს ყველა აუცილებელი დამამტკიცებელი დოკუმენტი, განსაკუთრებით კი ეროვნული სასამართლოების, ტრიბუნალების გადაწყვეტილებები ან სხვა გადაწყვეტილებები ნებისმიერ სხვა მასალასთან ერთად, რომელიც ასაბუთებს განმცხადებლის პრეტენზიებს.

როდესაც სამართალწარმოება უკვე მიმდინარეობს სასამართლოში, უნდა გაკეთდეს მითითება განაცხადისთვის მინიჭებულ ნომერზე.

ექსტრადიციის ან დეპორტაციის შემთხვევებში სასამართლოს უნდა ეცნობოს გადაცემის მოსალოდნელი თარიღი და მასთან დაკავშირებული დეტალები, განმცხადებლის მისამართი ან პატიმრობის ადგილი და მისი საქმის ოფიციალური ნომერი.

პრაქტიკული მითითებები³⁶[36]

სამართალწარმოების აღკვეთა³⁷[37]

(კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი ინდივიდუალური განაცხადები)

I. ზოგადი მიმოხილვა

1. კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე შეტანილი განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. დაუშვებელია განაცხადის ტელეფონის საშუალებით წარდგენა.
2. განაცხადი შემდეგ მისამართზე უნდა გაიგზავნოს:

The Registrar
European Court of Human Rights
Council of Europe
F – 67075 STRASBOURG CEDEX.

³⁶ [36] გამოცემულია 2003 წლის 1 ნოემბერს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სასამართლოს რეგლამენტის 32-ე მუხლის შესაბამისად.

³⁷ [37] წინამდებარე პრაქტიკული მითითება ავსებს სასამართლოს რეგლამენტის 45-ე და 47-ე მუხლებს.

3. ჩვეულებრივ, განაცხადი სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული ფორმის^{38 [38]} საშუალებით უნდა იქნეს წარდგენილი. თუმცა განმცხადებელს განაცხადის წარდგენა წერილის საშუალებითაც შეუძლია.

4. თუკი განაცხადი არ იქნა წარდგენილი ოფიციალური ფორმის საშუალებით ან წერილში არ იქნება მოცემული წინამდებარე რეგლამენტის 47-ე მუხლში მითითებული მთელი ინფორმაცია, რეგისტრატორს შეუძლია მიმართოს განმცხადებელს თხოვნით, წარმოადგინოს განაცხადი ოფიციალური ფორმის საშუალებით. როგორც წესი, ფორმა დაბრუნებული უნდა იქნეს რეგისტრატორის წერილის მიღებიდან 6 კვირის ვადაში.

5. განმცხადებლებს შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი ფაქსის^{39[39]} საშუალებით. თუმცა ასლის ფაქსით გაგზავნიდან 5 დღის ვადაში ფოსტით უნდა გაიგზავნოს ხელმოწერილი დედანი.

6. სასამართლოს რეგისტრატურის მიერ განაცხადის მიღების თარიღი მიღების დამადასტურებელი ბეჭდით დაფიქსირდება.

7. განმცხადებელმა უნდა იცოდეს ის ფაქტი, რომ განაცხადის არსის ამსახველი პირველი შეტყობინების მიღების თარიღი განიხილება კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებული ექვსთვიანი ვადის წესის შესაბამის თარიღად.

8. განაცხადის არსის ამსახველი პირველი შეტყობინების მიღებისას რეგისტრატორი ქმნის ახალ საქმეს, რომლის ნომერიც მითითებული უნდა იქნეს შემდგომში წარმოებულ ყოველ კორესპონდენციაში. განმცხადებლებს ზემოხსენებულის შესახებ წერილის საშუალებით უნდა ეცნობოთ. მათ ასევე შეიძლება მოეთხოვოთ დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარდგენა.

9. ა) სასამართლოს რეგისტრატურაში კორესპონდენციის გაგზავნისას განმცხადებელი ზედმიწევნით უნდა ასახავდეს ფაქტებს.

ბ) სათანადო პასუხის გაცემის დაყოვნება ან პასუხის გაუცემლობა შეიძლება აღქმული იქნეს იმის ნიშნად, რომ განმცხადებელი აღარ არის დაინტერესებული განაცხადთან დაკავშირებული სამართალწარმოების გაგრძელებით.

10. თუ არ იქნა დაკმაყოფილებული რეგლამენტის 47-ე მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნები და არ იქნა წარდგენილი რეგისტრატორის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია (იხ.

³⁸ [38] შესაბამისი ფორმის გადმოწერა შესაძლებელია სასამართლოს ინტერნეტგვერდიდან (www.echr.coe.int).

³⁹[39] სასამართლოს ფაქსის ნომერია: +00 33 (0)3 88 41 27 30; ფაქსის სხვა ნომრების მოძიება შესაძლებელია სასამართლოს ინტერნეტგვერდზე.

წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტი), სასამართლომ შეიძლება არ განიხილოს განაცხადი.

11. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ დააბრუნებს განაცხადის ფორმას ან პასუხს არ გასცემს რეგისტრატურის მიერ გაგზავნილ რომელიმე წერილს, საქმე გაუქმდება.

II. ფორმა და შინაარსი

12. განაცხადში მითითებული უნდა იყოს წინამდებარე რეგლამენტის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტით მოთხოვნილი მთელი ინფორმაცია და მას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტაცია, რომელიც მითითებულია რეგლამენტის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში.

13. განაცხადი გასაგებად უნდა იქნეს დაწერილი; უმჯობესია, თუ იგი ნაბეჭდი ფორმით იქნება წარდგენილი.

14. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც განაცხადი (არ იგულისხმება დანართში მოცემული დოკუმენტები) აჭარბებს 10 გვერდს, განმცხადებელმა ასევე უნდა წარადგინოს განაცხადის მოკლე შინაარსი.

15. როდესაც განმცხადებლები წარადგენენ დოკუმენტებს განაცხადის გასამყარებლად, არ არის სავალდებულო დოკუმენტების დედნების წარდგენა. დოკუმენტები დალაგებული უნდა იყოს ქრონოლოგიურად, თანმიმდევრობით უნდა იქნეს დანომრილი და მოცემული უნდა იყოს მოკლე აღწერა (მაგალითად, წერილი, ბრძანება, განაჩენი, საჩივარი და სხვ.)

16. განმცხადებელმა, რომელსაც უკვე შეტანილი აქვს განაცხადი სასამართლოში, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ რეგისტრატურას და მიუთითოს განაცხადის ნომერი.

17. (ა) იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს არ სურს თავისი ვინაობის გამჟღავნება, მან, რეგლამენტის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წერილობით უნდა მიუთითოს თხოვნის მიზეზები.

(ბ) განმცხადებელმა ასევე უნდა მიუთითოს, რა სახით სურს მოხსენიებული იყოს, თუ პალატის თავმჯდომარე ნებას დართავს მის ანონიმურობას – საკუთარი ინიციალებით თუ ერთი ასოთი (მაგალითად „X“, „Y“, „Z“ და სხვ.).

წერილობითი კომენტარები

I. კომენტარების წარდგენა

ზოგადი დებულებები

1. კომენტარები წარდგენილი უნდა იქნეს რეგისტრატურაში რეგლამენტის 38-ე მუხლის თანახმად დადგენილ ვადებში და იმავე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული წესით.
2. სასამართლოს რეგისტრატურის მიერ კომენტარების ან სხვა დოკუმენტების მიღების თარიღი აღინიშნება ამავე დოკუმენტზე მიღების დამადასტურებელი ბეჭდით.
3. ყველა კომენტარი, ისევე, როგორც ყველა თანდართული დოკუმენტი, წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოს რეგისტრატურაში 3 ეგზემპლარად ფოსტის საშუალებით. ამასთან, თუ შესაძლებელია, ეგზემპლარის ასლი გაგზავნილი უნდა იქნეს ფაქსით.
4. საიდუმლო დოკუმენტები გაგზავნილი უნდა იქნეს დაზღვეული ფოსტის საშუალებით.
5. საქმეში არ ჩაიდება სასამართლოს მოთხოვნის გარეშე წარდგენილი კომენტარები, თუკი პალატის თავმჯდომარე არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას (იხ. წინამდებარე რეგლამენტის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ფაქსით გაგზავნა

6. მხარემ სასამართლოს კომენტარები ან სხვა დოკუმენტები ფაქსის ⁴¹[41] საშუალებით შეიძლება წარუდგინოს.
7. იმ პირის სახელი და გვარი, რომელიც ხელს აწერს კომენტარებს ან სხვა დოკუმენტებს, დოკუმენტზე იმგვარად უნდა იყოს დაბეჭდილი, რომ შესაძლებელი იყოს მისი ვინაობის დადგენა.

II. ფორმა და შინაარსი ფორმა

8. კომენტარებში აღნიშნული უნდა იყოს:

⁴⁰ [40] გამოცემულია 2003 წლის 1 ნოემბერს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სასამართლოს რეგლამენტის 32-ე მუხლის შესაბამისად.

⁴¹ [41] სასამართლოს ფაქსის ნომერია: +00 33 (0)3 88 41 27 30; ფაქსის სხვა ნომრების მოძიება შესაძლებელია სასამართლოს ინტერნეტგვერდზე (www.echr.coe.int).

- ა) განაცხადის ნომერი და საქმის დასახელება;
- ბ) სათაური, რომელიც მიანიშნებს შინაარსის ხასიათზე (მაგალითად, კომენტარები საქმის დაშვებადობასთან დაკავშირებით [და არსებით განხილვასთან დაკავშირებით]; პასუხი მთავრობის/განმცხადებლის მიერ წარდგენილ კომენტარებზე დაშვებადობასთან [არსებით განხილვასთან] დაკავშირებით; კომენტარები არსებით განხილვასთან დაკავშირებით; დამატებითი კომენტარები დაშვებადობასთან [არსებით განხილვასთან] დაკავშირებით; მემორანდუმი და ა.შ.).

9. გარდა ამისა, კომენტარები ჩვეულებრივ:

- ა) წარდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატის ქაღალდზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს არანაკლებ 3,5 სმ-ის მინდვრები;
- ბ) უნდა იყოს სრულიად გასაგები და უმჯობესია, თუ დაბეჭდილი ფორმით იქნება წარდგენილი;
- გ) ყველა ნომერი რიცხვების საშუალებით უნდა იყოს გამოსახული;
- დ) გვერდები თანმიმდევრობით უნდა იყოს დანომრილი;
- ე) დაყოფილი უნდა იყოს დანომრილ პუნქტებად;
- ვ) დაყოფილი უნდა იყოს თავებად და/ან სათაურებად და უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა ფორმასა და სტილს („ფაქტები“ / „ეროვნული სამართალი [და პრაქტიკა]“ / „საჩივრები“ / „სამართალი“, ბოლო თავს უნდა მოჰყვებოდეს სათაური სახელწოდებით: „წინასწარი პრეტენზია ...-თან დაკავშირებით;“ „... მუხლის სავარაუდო დარღვევა“, გააჩნია შემთხვევას);
- ზ) პასუხი სასამართლოს შეკითხვასა თუ სხვა მხარის არგუმენტებზე ცალკე სათაურით უნდა იყოს გაცემული;
- თ) უნდა მიუთითებდეს ყველა დოკუმენტსა თუ მტკიცებულებაზე, რომლებიც მოხსენიებულია კომენტარებში და თან ერთვის მათ.

10. იმ შემთხვევაში, თუ კომენტარები აჭარბებს 30 გვერდს, მათ თან უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსი;

11. როდესაც მხარე წარადგენს დოკუმენტებს და/ან სხვა მტკიცებულებებს კომენტარებთან ერთად, თითოეული მტკიცებულება ცალკე დანართში უნდა იქნეს აღნიშნული.

შინაარსი

12. განაცხადის შეტანის შემდეგ წარდგენილი მხარეთა კომენტარები უნდა მოიცავდეს:

ა) ნებისმიერ კომენტარს, რომელიც მხარეებს სურთ გააკეთონ საქმის ფაქტებთან დაკავშირებით; თუმცა

- (i) იმ შემთხვევაში, თუ მხარე ეთანხმება ფაქტობრივი გარემოებების რეგისტრატორის მიერ მომზადებულ აღწერაში მოხსენიებულ ფაქტებს, მისი კომენტარები უნდა შემოიფარგლებოდეს ამის მოკლედ აღნიშვნით;
- (ii) იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმება ფაქტობრივი გარემოებების რეგისტრატორის მიერ მომზადებულ აღწერაში მოხსენიებული ფაქტების მხოლოდ ნაწილს, კომენტარები უნდა შემოიფარგლოს ამ კონკრეტული ფაქტებით;
- (iii) იმ შემთხვევაში, თუ მხარე პრეტენზიას გამოთქვამს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებთან ან ფაქტების ნაწილთან დაკავშირებით, მან გარკვევით უნდა განაცხადოს, თუ რომელ ფაქტებს ეთანხმება, და მისი კომენტარები უნდა შემოიფარგლოს სადავო საკითხებით;

ბ) სამართლებრივ არგუმენტებს, რომლებიც პირველ რიგში უკავშირდება დაშვებადობის საკითხს, ხოლო მეორე რიგში - საქმის არსებით მხარეს; თუმცა

- (i) თუ მხარეს დაესვა კონკრეტული შეკითხვები ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ეს მხარე, რეგლამენტის 55-ე მუხლის დაურღვევლად, უნდა შემოიფარგლოს ამ კითხვებზე პასუხის გაცემით;
- (ii) თუ კომენტარები პასუხს სცემს მეორე მხარის არგუმენტებს, ისინი ზემოხსენებული წესით უნდა მიუთითებდეს კონკრეტულ არგუმენტებზე.

13. ა) არსებით განხილვაზე განაცხადის დაშვების შემდეგ მხარეთა მიერ წარდგენილ კომენტარებში უნდა შედიოდეს:

- (i) მოკლე განაცხადი, რომელიც ადასტურებს მხარის პოზიციას საქმის ფაქტებთან მიმართებაში, როგორც ეს დადგენილი იყო დაშვებადობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში;
- (ii) საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებული სამართლებრივი არგუმენტები;
- (iii) პასუხი სასამართლოს მიერ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით დასმულ ნებისმიერ კონკრეტულ შეკითხვაზე.

ბ) განმცხადებელმა მხარემ, რომელიც წარადგენს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, აღნიშნული უნდა განახორციელოს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მითითებების გათვალისწინებით.⁴²[42]

14. სამართალწარმოების მეგობრული მორიგების კონფიდენციალური ხასიათის გამო (იხ. კონვენციის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ყველა არგუმენტაცია და დოკუმენტი, რომელიც წარდგენილი იქნება მეგობრული მორიგების მიღწევის მცდელობისას, წერილობითი კომენტარებისგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს წარდგენილი.

15. ძირითადი სამართალწარმოებისას არ შეიძლება არანაირი მინიშნება შეთავაზებაზე, ფაქტის აღიარებაზე ან სხვა განცხადებაზე, რომლებიც წარდგენილია მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით.

III. ვადები

ზოგადი დებულებები

16. თითოეულ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს, რომ კომენტარები და ნებისმიერი თანმდევი დოკუმენტაცია ან მტკიცებულება სასამართლოს რეგისტრატურაში დროულად იქნეს წარდგენილი.

ვადის გაგრძელება

17. წინამდებარე რეგლამენტის 38-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი ვადა შესაძლოა გაგრძელებული იქნეს მხარის მიერ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

18. მხარემ, რომელიც კომენტარების წარდგენისათვის ვადის გაგრძელებას ითხოვს, სასამართლოს უნდა მიმართოს თხოვნით რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც შეიტყობს ისეთი გარემოებების არსებობას, რომლებიც ამართლებს ვადის გაგრძელებას, და, ნებისმიერ შემთხვევაში, ვადის ამოწურვამდე. მხარემ უნდა აღნიშნოს დაყოვნების მიზეზი.

19. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გაგრძელება ნებადართული იქნა, ეს ნებადართვა უნდა შეეხოს ყველა მხარეს, რომელსაც შესაბამისი ვადა ეხება, მათ შორის მათაც, რომლებსაც არ მოუთხოვიათ ვადის გაგრძელება.

⁴² ჯერ არ გამოცემულა, მანადე კი იხ. მე-60 მუხლი.

IV. კომენტარებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა

20. თუ კომენტარები არ იქნა წარდგენილი პრაქტიკული მითითებების მე-8–მე-15 მუხლებში აღნიშნული მოთხოვნების მიხედვით, პალატის თავმჯდომარეს შეუძლია მოსთხოვოს შესაბამის მხარეს კომენტარების ხელმეორედ წარმოდგენა აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

21. ზემოხსენებული პირობების შეუსრულებლობის შედეგად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს, რომ კომენტარები არასათანადოდ იქნა წარმოდგენილი (იხ. სასამართლოს რეგლამენტის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ინდექსი^{43[43]}

AD HOC (მოსამართლეები).....	იხ. მოსამართლეები, 3030
დაშვება(ლოკა)/დაუშვებლობა	მუხლები 34 §§ 2 და 3, 59 § 2
– ზოგადად.....	
– დაშვებადობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება	
• ზოგადად	
სახელმწიფოთაშორისი განაცხადი.....	მუხლი 51
ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლები 52, 53, 54
• განაცხადის დაშვებადობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.....	მუხლი 54A
• დაშვებადობის კრიტერიუმები.....	მუხლები 46 § 1 „დ“, 47 §§ 1 „ვ“ და 2 „ა“
• საქმის მოსმენა დაშვებადობასთან დაკავშირებით.....	იხ. საქმის მოსმენები
• მომხსენებელი მოსამართლის მოხსენება დაშვებადობასთან დაკავშირებით	
სახელმწიფოთაშორისი განაცხადი.....	მუხლი 48 §§ 1 და 2
ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლი 49
• კომენტარები დაშვებადობასთან დაკავშირებით.....	იხ. ვერილოგოიტი კომენტარები
• მოპასუხე ხელშემკერელი მხარის მიერ დაუშვებლობასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრეტენზია.....	მუხლი 55
– დაშვებადობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება	
• სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები.....	მუხლი 56
• ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლები 53 §§ 2 და 3, 54 § 1
– განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება.....	მუხლი 43 §§ 3 და 4
მხარეთა მრჩეველები.....	იხ. მხარეთა წარმომადგენლები
საკონსულტაციო დასკვნები	
– ზოგადად.....	მუხლები 82, 83, 84, 85, 86, 88, 90
– სასამართლოს საკონსულტაციო კომპეტენცია.....	მუხლი 87
– საჯაროდ გამოცხადება.....	მუხლი 89
ხელშემკერელ მხარეთა მთავრობის წარმომადგენლები.....	იხ. მხარეთა წარმომადგენლები

^{43[43]} ქვეკატეგორიები, როგორც წესი, მოცემულია ანბანური წყობით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოთვლილია ლოგიკური, იერარქიული ან ქრონოლოგიური კრიტერიუმების გათვალისწინებით. გარდამავალი დებულებები წარმოდგენილია დახრილი შრიფტით.

რეგლამენტის მუხლში ცვლილება- ღამათბების შიქანა.....	მუხლი 103
AMICUS CURIAE.....	იხ. მისამი მხარის ჩართვა
განმცხადებლის ანონიმურობა	იხ. კონფიდენციალურობა
ბანმცხადებელი	
– ზოგადად.....	მუხლები 1 „ო“, 34 §§ 2 და 3, 36 § 1, 47, 56 § 2, 60 §§ 1 და 2, 91, 92 § 2, 93 § 1, 101
– პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პირთა ჯგუფები	მუხლი 36 §§ 1 და 2
კონვენციისა თუ მისი ოქმების ბამოქმნება.....	იხ. კითხვები
ბანაცხადები.....	იხ. მოთხოვნები და ბანაცხადები
ბიურო	მუხლი 9A
საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება.....	იხ. მოთხოვნები და ბანაცხადები
პალატები	
– სასამართლოსი	
• შემადგენლობა	მუხლები 26, 51 § 3, 52 § 2
• ზოგადად.....	მუხლები 1 „ე“, „ზ“ და „თ“, 9 § 3, 12, 21 §§ 1 და 2, 23 § 2, 28 § 4, 33 § 2, 39, 41, 42, 43, 45 § 2, 48, 49 § 3, 51 §§ 2, 3, 4, 5 და 6, 52 §§ 2 და 3, 53 § 3, 54, 56, 58, 59, 60 § 3, 62 §§ 1 და 3, 63 § 1, 65, 70 §§ 1 და 2, 71, 72, 74 § 1, 75, 79 §§ 3 და 4, 80 §§ 3 და 4, 91 § 2, 92, 100 §§ 1 და 2, 102 §§ 2, 3 და 4
– პალატის დელეგაცია.....	დანართი
– განმხილველი პალატა.....	მუხლები 79 § 3, 80 § 3, 102 § 3
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.....	იხ. ევროპის საბჭო
სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტი.....	მუხლები 1 „ვ“ და „ზ“, 21, 27, 49 § 3, 53
საერთო ინტერესი.....	მუხლი 30
კომუნიკაცია და შეტყობინება.....	მუხლები 17 § 2, 34 §§ 2 და 4, 36 § 2, 37 §§ 1 და 2, 43 § 3, 44, 47 § 5, 51 §§ 1 და 3, 54 § 2, 56 § 2, 62 § 2, 70 § 3, 72 § 2, 75 § 4, 77 § 3, 79 § 4, 80 § 4, 85 § 2, 90, 93 § 3 იხ. ასევე საბანბბო შემთხვევა
კომპეტენცია	
– სასამართლოსი.....	იხ. საკონსულტაციო დასკვნები
– ინდივიდუალური განაცხადის ხელის	

მომწერების	მუხლი 45 § 2
შემაღგენლობა.....	იხ. დიდი პალატა იხ. სმქციები – შექმნა იხ. პალატები – შემაღგენლობა იხ. კომიტეტი, დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია
კონფიდენციალურობა და ანონიმურობა	
– განმცხადებლის ანონიმურობა.....	მუხლი 47 § 3
– სამართალწარმოების საჯარო ხასიათი...	მუხლები 33 § 3, 62 § 2, 99 § 4 იხ. ასევე საიღუმლოება
ჩამოქალიბება.....	იხ. პალატები, სმქციები იხ. დიდი პალატა – შემაღგენლობა იხ. კომიტეტი, დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია
ხელშემაკვრელი მხარეები	
– ზოგადად.....	მუხლები 1 „ო“ და „პ“, 29, 30, 42, 43 § 2, 44, 46, 48 § 1, 51 §§ 4 და 5, 56 § 2, 58 §§ 1 და 2, 60, 84, 85, 86, 89, 93 § 2, დანართი მუხლი A5 § 6
– მოპასუხე.....	მუხლები 1 „ო“, 34 § 5, 35, 36, 40, 51, 54 § 2, 55
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (იხ. ასევე ოქმი № 11)	რეგლამენტის მუხლები
– მუხლი 21 § 1.....	მუხლი 29
– მუხლი 21 § 3.....	მუხლი 4
– მუხლი 23 § 5.....	მუხლი 2 § 2
– მუხლი 23 § 7.....	მუხლი 2 § 3
– მუხლი 26.....	მუხლები 1 „დ“, 25 § 1
– მუხლი 27 § 1.....	მუხლები 1 „ბ“ და „კ“, 26 § 1, 27 § 1, 52 § 2
– მუხლი 27 § 2.....	მუხლები 1 „თ“, 24 § 3
– მუხლი 28.....	მუხლი 53 § 2
– მუხლი 30.....	მუხლები 50, 72
– მუხლი 33.....	მუხლები 45, 46, 48, 51, 58
– მუხლი 34.....	მუხლები 1 „ო“, 34 § 2, 36 § 1, 45, 47, 49, 52, 59, 91
– მუხლი 35.....	მუხლები 46, 47 §§ 1 და 2
– მუხლი 36.....	მუხლები 1 „პ“, 44 §§ 1 და 2
– მუხლი 37.....	მუხლი 43 § 1
– მუხლი 38.....	მუხლი 62 §§ 1 და 2
– მუხლი 41.....	მუხლები 46, 47, 60, 75 §§ 1, 2 და 3
– მუხლი 42.....	მუხლი 74
– მუხლი 43.....	მუხლები 1 „ზ“, 24 § 6, 50, 73
– მუხლი 44.....	მუხლები 74, 78
– მუხლი 47.....	მუხლები 82, 83, 87
– მუხლი 48.....	მუხლი 82
– მუხლი 49.....	მუხლი 82

– კონვენციის ადრე მოქმედი მე-19 მუხლი.....	მუხლი 1 „ს“
– კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლი.....	მუხლი 99 § 2 და 5
სხლომეპი.....	მუხლები 20 § 1, 21 § 2, 65, 69
ხარჯები, გაღებული დანახარჯები და გადასახადები	
– ხარჯები.....	მუხლები 34 § 4, დანართი მუხლი A5 § 6
– გაღებული დანახარჯები.....	მუხლი 43 § 3
– გადასახდელი თანხები.....	მუხლები 94, 95
– გამოძახებული პირისთვის გადასახდელი თანხა.....	დანართი მუხლი A5 § 2
– საურავი.....	მუხლი 75 § 3
– სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მინიჭებული თანხები.....	მუხლი 75 § 3
ეპროპის საბჭო	
– ზოგადად.....	მუხლები 9 § 1, 19, დანართი მუხლი A5
– საპარლამენტი ასამბლეა.....	მუხლი 1 „ი“
– მინისტრთა კომიტეტი.....	მუხლები 1 „რ“, 39 § 2, 43 §§ 3 და 4, 77 § 3, 83, 85, 89, 90
– გენერალური მდივანი.....	მუხლები 6, 18, 77 § 3, 90
გადაწყვეტილებები	
– ზოგადად.....	მუხლები 23 §§ 1 და 2, 81
– დაშვებადობა/დაუშვებლობასთან დაკავშირებით	
• კომიტეტის მიერ გამოტანილი.....	მუხლი 53 §§ 2 და 3
• პალატის მიერ გამოტანილი.....	მუხლები 54, 56
– განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება.....	იხ. აგრ. დაშვებადობა/დაუშვებლობა მუხლი 43 § 3
– 5 მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ.....	მუხლი 73 § 2
– სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 75
– საკონსულტაციო დასკვნებთან დაკავშირებით.....	მუხლები 87, 90
– ენასთან დაკავშირებით.....	მუხლი 57
	იხ. ასევე მიზნუმი
	იხ. ასევე ბამოქმეჩნება, საჯარო ხელმისაწვდომობა
დეკლარატი.....	მუხლები 1 „ლ“, დანართი მუხლები A1, A4, A7
დეკლარაციები.....	მუხლები 1 „მ“, 99 § 5, დანართი
ოათბირი.....	მუხლები 22, 53 § 1
	იხ. ასევე საიდუმლოება
საჯარო განხილვაზე ბამოცხადება.....	იხ. განახენები, საკონსულტაციო დასკვნები

ბაღახვევა

- წესიდან, რომელიც ითვალისწინებს სამართალწარმოებისას ინფორმაციის ხელმისაწვდომობას..... მუხლი 47 § 3
 - სასამართლოს რეგლამენტიდან..... მუხლი 31
- იხ. ასევე ბამონაკლისი ბარემომეგობი

მითითებები/ინსტრუქციები

- გაცემული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მუხლები 32, 38 § 1
- პროცედურასთან დაკავშირებით
- გაცემული რეგისტრატორის მიერ..... მუხლები 17 § 4, 70 § 3

ხელშემკვრელი მხარის მიერ საქმის შეწყვეტა.....

მუხლი 43 § 2

უფლებამოსილების შეწყვეტა

- მოსამართლის..... მუხლი 7
- რეგისტრატორის, რეგისტრატორის მოადგილეების..... მუხლები 15 § 2, 16 § 1

არღიანხმება/ბანსხვაგვარი მოსაზრება.....

იხ. მოსამართლეები – განცალკევებული მოსაზრება

განაწილება

- მოსამართლეთა სასამართლო სტრუქტურებს შორის
- სქესთა დაბალანსებული წარმომადგენლობა.....
- გეოგრაფიულად დაბალანსებული წარმომადგენლობა.....
- სამართლებრივი სისტემების დაბალანსებული წარმოდგენა.....
- საქმეების სამართლიანი განაწილება.....

მუხლები 14, 25 § 2

მუხლები 24 § 3, 25 § 2

მუხლები 24 § 3, 25 § 2

მუხლი 52 § 1

არჩევა

იხ. რეგისტრატურა, მოსამართლეები

რეგლამენტის ძალაში შესვლა

მუხლი 104

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია.....

მუხლები 1 „ს“, 99 §§ 1, 2, 4 და 5, 101

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

- ზოგადად..... მუხლები 1 „ზ“, 9, 14, 17, 18 § 1, 31, 34, 37 § 2, 43, 46, 47 §§ 3, 4, 5 და 6, 57, 76, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85 § 2, 87, 99, 101
- სასამართლოს ფუნქციონირება..... მუხლები 19, 20, 21, 22, 23
- სასამართლო პლენუმი
- მუხლები 1 „ბ“ და „ზ“, 3 § 1, 4, 7, 8 §§ 1 და 4, 9 § 2, 15 §§ 1, 2 და 4, 16 §§ 1 და 2, 20, 25 § 1, 103
- არქივები..... მუხლები 17 § 2, 77 § 3, 90
- თათბირი..... იხ. თათბირი

– სესიები.....	მუხლები 20, 21
– ადგილმდებარეობა.....	მუხლი 19
– ხმები.....	მუხლი 23
მტკიცებულება.....	იხ. ბამოქიძეა
ბამონაკლისი ბარემოებები.....	მუხლები 33 § 1, 36 § 4 „ბ“, 43 § 5, 44 § 1 და 2, 63
– გამონაკლისი საქმეები.....	მუხლი 47 § 3
– „გამონაკლისი“.....	მუხლი 44 § 3
ბათავისუფლება.....	იხ. უფლებამოსილების ბანხორციელების შეუძლებლობა
ბაღეშული დანახარჯები.....	იხ. ხარჯები
ემსპრტები.....	იხ. მოწმეები
ბამოუცხადებლობა.....	მუხლი 65
ბაღასახლელი თანხები.....	იხ. ხარჯები
ადრე მოქმედი სასამართლო.....	მუხლები 1 „ს“, 101, 102
მეგობრული მორიბება.....	მუხლები 43 § 3, 75 § 4
ფუნქციები.....	იხ. თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, რეგისტრატურა
დიდი კალატა	
– შემადგენლობა.....	მუხლი 24
– ზოგადად.....	მუხლები 1 „გ“, „ზ“ და „თ“, 9 § 2, 21 §§ 1 და 2, 23 § 2, 50, 71, 72, 73 §§ 1, 2 და 3, 88, 91 § 2, 100 §§ 1, 3 და 4
პირთა ჯგუფები.....	ბანმცხადებელი
საქმის მოსმენები	
– ზოგადად.....	მუხლები 1 „ქ“, 36 § 3, 44 §§ 1, 2, 4 და 5, 63
– დაშვებადობასთან დაკავშირებით	იხ. ასევე საჯარო ხელმისაწვდომობა
• სახელმწიფოთაშორისი განაცხადები.....	მუხლი 51 § 5
• ინდივიდუალური განაცხადები.....	მუხლი 54 § 3
– არსებით განხილვასთან დაკავშირებით	
• სახელმწიფოთაშორისი განაცხადები.....	მუხლი 58 § 2
• ინდივიდუალური განაცხადები.....	მუხლები 54 § 3, 59 § 3
– განაჩენთა განმარტება.....	მუხლი 79 § 4
– განაჩენთა გადასინჯვა.....	მუხლი 80 § 4
– საკონსულტაციო დასკვნები.....	მუხლი 86
– განაჩენებისა და საკონსულტაციო დასკვნების გამოცხადება.....	მუხლები 77 § 1, 89
– საქმის მოსმენის წარმართვა.....	მუხლი 64
– პირის დაკითხვა ინფორმაციის მოპოვების	

მიზნით.....	იხ. მოწმეები
– საქმის მოსმენის დროს დასმული შეკითხვები.....	მუხლი 64
– სტენოგრაფიული ჩანაწერი.....	მუხლი 70
თავმჯდომარეობის შეუძლებლობა.....	იხ. თავმჯდომარე
უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა, გაწვევა, გათავისუფლება	
– მოსამართლეების.....	მუხლები 24 §§ 5 და 6, 26 § 1, 27 § 2, 28, 29 § 1
– სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილეების ან სექციების თავმჯდომარეების.....	მუხლები 10, 11, 12, 24 §§ 5 და 6
შეუთავსებელი ქმედებები.....	იხ. მოსამართლეები
სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ განაჩენთან შეუსაბამობა (რისკი).....	იხ. კითხვები
ინდივიდუალური.....	იხ. სახელმწიფოთაშორისი / ინდივიდუალური
სამართალწარმოების აღკვერა.....	იხ. მოთხოვნები და განაცხადები
დროებითი ღონისძიებები.....	მუხლი 39
ბანკარტება	
– კონვენციისა და თანდართული ოქმების.....	მუხლები 72 § 1, 73 § 1
– განაჩენის.....	მუხლები 79, 102
მთარბმნელები, თარბმნა.....	მუხლები 34 §§ 3, 4 და 6, 70 § 2
სახელმწიფოთაშორისი/ინდივიდუალური.....	იხ. მოთხოვნები და განაცხადები იხ. მომხსენებელი მოსამართლე იხ. ენები იხ. პროცედურა იხ. დაშვებადობა/დაუშვებლობა
ჩართვა.....	იხ. მესამე მხარის ჩართვა
ბამოქიება, მტკიცებულება და მტკიცებულების მოპოვების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.....	მუხლები 19 § 2, 37 § 2, დანართი მუხლები A1, A5, A8
განაცხადთა ბაერთიანება.....	მუხლები 42, 51 § 2
მომხსენებელი მოსამართლე	
– ზოგადად.....	მუხლები 1 „კ“, 50
– სახელმწიფოთაშორისი განაცხადები.....	მუხლები 48, 51 § 7, 58 § 3
– ინდივიდუალური განაცხადები.....	მუხლები 49, 53 §§ 1 და 2
მოსამართლეები	

- ზოგადად.....	მუხლები 15, 16, 20 § 2, 22, 23, 64, 74, 77 § 2
- საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეულნი	
• ზოგადად.....	მუხლები 1 „ი“, 2, 25 § 2, 84, 88, 97, 100, 103
• ეროვნული ან სახელმწიფო მხარის მხრივ არჩეული მოსამართლე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით: „ეროვნული მოსამართლე“.....	მუხლები 9 § 3, 13, 24 §§ 4 და 6, 26 § 1, 29, 51 § 2, 102 § 3
• სასამართლო სტრუქტურის <i>ex officio</i> წევრები.....	მუხლები 24 § 4, 26 § 1, 30 § 1, 51 § 2
• კენჭისყრით არჩეულნი.....	მუხლები 30 § 1, 75 § 2, 79 § 3, 80 § 3, 100 § 4
• როტაციის წესით დანიშნულნი.....	მუხლები 24 § 3, 24 § 6, 26 § 1, 27 § 2, 100 § 4
• განმხილველი პალატის წევრები.....	მუხლები 79 § 3, 80 § 3, 102 § 3
- <i>ad hoc</i>	იხ. ასევე მოსამართლეთა ბანაწილება სასამართლო სტრუქტურაში
- მომხსენებელი.....	მუხლები 1 „თ“ და „ი“, 5 § 4, 29
- განცალკევებული მოსაზრება.....	იხ. მომხსენებელი მოსამართლე
- უფლებამოსილების ვადა.....	მუხლები 22 § 3, 74 § 2, 88 § 2
- ფიცის დადება.....	იხ. სამსახურის/უფლებამოსილების ვადები
- პრივილეგია.....	მუხლები 3, 29 § 4
- ბარიერები მოსამართლის ფუნქციების განხორციელებისთვის	მუხლები 5, 11, 12, 27 § 4
• ზოგადად.....	მუხლი 28 § 2
• შეუთავსებელი ქმედებები.....	მუხლი 4
- უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა, გაწვევა, გათავისუფლება.....	იხ. ასევე ბათიავის უფლება
- შემცველი მოსამართლეები.....	იხ. უფლებამოსილების განხორციელება
- გადადგომა.....	მუხლები 24 §§ 1, 3 და 5, 26 § 1 „ბ“, 102 § 4 „ბ“
- მოსამართლის უფლებამონაცვლე.....	მუხლი 6
	მუხლები 2 §§ 2 და 3, 25 § 3
ბანაწილება	
- ზოგადად.....	მუხლები 23 § 2, 73 § 3, 74, 75 § 1, 77 §§ 1 და 3, 79 § 4, 80 § 4, 81, 102
- საბოლოო განაჩენები.....	მუხლები 43 § 3, 78
- ენა.....	მუხლი 76
- გამოცხადება საჯარო განხილვაზე.....	მუხლი 77 § 2
	იხ. ასევე ბანმართება, გამოქვეყნება, საჯარო ხელმისაწვდომობა, შესწორება, გადასინჯვა
სამართლიანი დაკმაყოფილება.....	მუხლები 46 § 1 „ე“, 60, 75
	იხ. ასევე ხარჯები

ენები

- სასამართლოს ოფიციალური ენები	
• ზოგადად.....	მუხლები 34 §§ 1, 2 და 3, 36 § 5, 44 §§ 2 და 5, 70 § 2, 89
• გადაწყვეტილების ენა.....	მუხლი 57
• განაჩენის ენა.....	მუხლი 76
- ხელშემკერელი სახელმწიფოების ოფიციალური ენები.....	მუხლები 34 §§ 2, 3 და 5, 36 § 5, 44 §5
- არაოფიციალური ენა.....	მუხლები 34 § 4, 70 § 2
- „მშობლიური ენა“.....	მუხლი 34 § 6
- ენა და განმცხადებელთან ურთიერთობა....	მუხლი 34 §§ 2, 3 და 5
- ენა და ხელშემკერელ მხარეებთან ურთიერთობა.....	მუხლი 34 §§ 4 და 5
სამართლებრივი ღახმარება.....	მუხლები 91, 92, 93, 94, 95, 96, 101
სამსახურის ან უფლებამოსილების ვადები	
- სასამართლო სტრუქტურებისა.....	მუხლები 24 §§ 2 და 3, 25 § 1
- მოსამართლეებისა.....	მუხლები 2, 97
- სასამართლოს/პალატების/სექციების თავმჯდომარეების/თავმჯდომარეთა მოადგილეების.....	მუხლები 8 §§ 1 და 2, 98
- რეგისტრატორის და რეგისტრატორის მოადგილეების.....	მუხლები 15 § 2, 16 § 1
უძრავ ქონების მოთხოვნა	
- ზოგადად.....	მუხლები 23 §§ 1 და 2, 53 § 2, 56, 88, 103 §§ 1 და 2
- თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.....	მუხლი 8 § 5
- რეგისტრატორისა და რეგისტრატორის მოადგილეების არჩევა.....	მუხლები 15 §§ 2 და 3, 16 § 1
მტკიცებულებების მოკოვებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.....	იხ. ბამოძიება
სხდომის ოქმი.....	მუხლები 3 § 2, 15, 16, 29 § 4, 66 § 2
მოლაპარაკებები.....	იხ. მებობრული მორიგება
ახალი ინფორმაცია.....	იხ. განაჩენის ბაღასინჯვა
არასამთავრობო ორბანიზაციები.....	იხ. განმცხადებელი
შეტყობინება.....	იხ. კომუნიკაცია
ზიცი ან ოფიციალური განაცხადი	
- მოსამართლეების.....	მუხლები 2 § 3, 3
- <i>ad hoc</i> მოსამართლეების.....	მუხლი 29 § 4
- რეგისტრატორის.....	მუხლი 15 § 4
- რეგისტრატორის მოადგილეების.....	მუხლი 16 § 2
- მოწმეებისა და ექსპერტების.....	დანართი მუხლი A6
მოწმესთან ან ექსპერტთან დაკავშირებული	

პრეზიდენცია.....	დანართი მუხლი A7 § 5
ბარიერები მოსამართლის ფუნქციების განხორციელებისთვის	იხ. მოსამართლეები
ოფიციალური მოხსენებები	იხ. ბამოქვეყნება
დიდი პალატის 5 მოსამართლისაგან შემდგარი კოლეჯია.....	მუხლები 1 „ზ“, 9 § 2, 24 § 5, 73 §§ 2 და 3, 100 § 1 იხ. ასევე ბალაწვეთილებები, მიზეზები
საპარლამენტო ასამბლეა	იხ. ევროპის საბჭო
მხარეები.....	მუხლები 31, 37 § 1, 39, 42, 49, 54 §§ 2 და 3, 59, 60 § 3, 63, 65, 70, 72, 73, 74, 75 § 4, 77 § 3, 79 §§ 1 ანდ 4, 80 §§ 1 და 4, 81, 102
პირები	იხ. ბანმცხადებელი
დაუფველობასთან დაკავშირებული პრეზიდენცია.....	იხ. დაფველობა/დაუფველობა
სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განხორციელებული უფლებამოსილება	
– სამართლებრივი დახმარება	მუხლები 91, 96
– საქმის მოსმენები	მუხლები 54 § 3, 58 § 2, 59 § 3, 63
– დოკუმენტები	მუხლი 33 § 1
– განაჩენების განმარტება.....	მუხლი 79 § 3
– განაცხადთა გაერთიანება.....	მუხლი 42
– მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.....	დანართი
– დროებითი ღონისძიებები.....	მუხლი 39 § 1
– შეცდომების გასწორება.....	მუხლი 81
– განაჩენთა გადასინჯვა	მუხლი 80 § 3
მღბომარეობა რანგის მიხედვით.....	იხ. მოსამართლეები
თავმჯდომარე	
– სასამართლოსი	
• ზოგადად.....	მუხლები 5 § 1, 8 §§ 1 და 3, 9, 9A, 10, 20 §§ 1 და 3, 21, 22 § 2, 23 §§ 1 და 3, 24 §§ 3 და 6, 25 §§ 1, 4 და 5, 27, 32, 37 § 2, 51, 52 § 1, 75 § 2, 79 § 3, 80 § 3, 85, 86, 89, 90, 100 § 3
• გადაყენება.....	მუხლი 11
– დიდი პალატის.....	მუხლი 50
– სექციის	
• ზოგადად.....	მუხლები 1 „დ“, 5 § 1, 8 §§ 1 და 2, 10, 11, 24 §§ 3, 5 და 6, 26 § 1, 27, 49, 51 § 3, 52 §§ 2 და 3, 102 §§ 2, 3 და 4

• გადაყენება.....	მუხლები 12, 24 § 5
- პალატის	
• ზოგადად.....	მუხლები 1 „ე“, 28, 30 §§ 1 და 2, 33 § 1, 34 §§ 2, 4 და 5, 36 §§ 2, 3, 4 და 5, 38, 39, 40, 42 § 2, 43 §§ 3 და 4, 44 §§ 2 და 4, 47 § 3, 51 §§ 4 და 6, 52 § 3, 54 § 2, 58 § 2, 59 § 4, 62 § 1, 64 § 1, 74, 77 § 2, 79 § 4, 80 § 4, 92, 93 § 3, 96
• გადაყენება.....	მუხლი 12
- პალატის დელეგაციის ხელმძღვანელი.....	მუხლი 1 „ე“, დანართი მუხლები A1, A4, A5, A7, A8
- კომიტეტის თავმჯდომარე.....	მუხლი 27 § 4
- თავმჯდომარეობის განხორციელების შეუძლებლობა.....	მუხლი 13 იხ. ასევე თავმჯდომარის მოაღბილი
 პრესა (პრესისთვის მიცემული ინფორმაცია).....	 მუხლი 17 § 3
 პროცედურა	
- ზოგადად.....	მუხლი 75 § 1
• კომიტეტის წინაშე.....	მუხლი 53
• პალატის წინაშე.....	მუხლები 51, 54, 58, 59
• დიდი პალატის წინაშე.....	მუხლები 50, 71
- დაშვებადობის გადაწყვეტილების გამოტანამდე	
• სახელმწიფოთაშორისი განაცხადი.....	მუხლი 51
• ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლები 52, 53, 54
- დაშვებადობის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ	
• სახელმწიფოთაშორისი განაცხადი.....	მუხლი 58
• ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლი 59
- წერილობითი	
• ზოგადად.....	მუხლები 38, 45 § 1, 86
• სახელმწიფოთაშორისი განაცხადი.....	მუხლები 51 § 6, 58 § 1
• ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლი 59 § 4 იხ. აგრ. წერილობითი კომენტარები
- ზეპირი	
• სახელმწიფოთაშორისი განაცხადი.....	მუხლები 51 § 6, 58 § 2
• ინდივიდუალური განაცხადი.....	მუხლი 59 § 3 იხ. ასევე საქმის მოსმენა
- საჯარო ხელმისაწვდომობა.....	მუხლები 33, 63
- იხ. ასევე საკონსულტაციო დასკვნები	
- იხ. ასევე ბაღახვევა	
- იხ. ასევე მითითებები/ინსტრუქციები	
- იხ. ასევე კონფიდენციალურობა	
 ოქმთი № 11	
- ზოგადად.....	მუხლები 97, 98
- მუხლი 5 § 2.....	მუხლები 99 § 4, 101
- მუხლი 5 § 3.....	მუხლები 99 § 4, 101

- მუხლი 5 § 4.....	მუხლები 99 §§ 1 და 4, 100 §§ 1 და 2, 101
- მუხლი 5 § 5.....	მუხლები 99, 100 §§ 3 და 4, 101
საჯარო ხელმისაწვდომობა	
- რეგისტრატურაში არსებულ დოკუმენტაციაზე.....	მუხლი 33
- მოხსენებებსა და საქმის მასალებზე.....	მუხლი 99 §§ 3 და 4 იხ. ასევე კონფიდენციალურობა, ანონიმურობა, საილუმოება იხ. პროცედურა
- სამართალწარმოებაზე.....	
- საქმის მოხსენებზე	
• ზოგადად.....	მუხლი 63
• განაჩენთა და დასკვნათა გამოტანაზე.....	მუხლები 77 § 2, 89
ბამოქვეყნება	
- ოფიციალურ მოხსენებებში.....	მუხლები 57 § 2, 76 § 2
• რჩეულ განაჩენთა და გადაწყვეტილებათა, აგრეთვე, ნებისმიერი დოკუმენტისა, რომლის გამოქვეყნებასაც სასამართლოს თავმჯდომარე ჩათვლის მიზანშეწონილად.....	მუხლი 78
- „შესაბამისი ფორმით“.....	მუხლი 78
- საბოლოო განაჩენების.....	მუხლი 78 იხ. ასევე საჯარო ხელმისაწვდომობა
კვალიფიკაცია	
- <i>ad hoc</i> მოსამართლეების.....	მუხლი 29
- რეგისტრატორის.....	მუხლი 15
- განმცხადებლის წარმომადგენლის.....	მუხლი 36 § 4
კითხვები	
- განხილვის დროს დასმული კითხვები	მუხლი 64 § 2
- სერიოზული საკითხები, რომლებიც გაველენას ახდენს კონვენციისა თუ ოქმების განმარტებაზე ან რომელთა გადაწყვეტამაც შესაძლოა მიგვიყვანოს სასამართლოს მიერ ადრე გამოცემულ განაჩენთან შეუსაბამობამდე.....	მუხლი 72 § 1
- სერიოზული საკითხები, რომლებიც გაველენას ახდენს კონვენციისა თუ ოქმების განმარტებასა თუ გამოყენებაზე ან ზოგადი მნიშვნელობის სერიოზულ საკითხებზე.....	მუხლი 73 § 1
მოსამართლეთა კვორუმი სასამართლო პლენუმისათვის.....	
	მუხლი 20 § 2
მიზეზები	
- წარმოდგენილი სასამართლოს მიერ	
• მომხსენებელი მოსამართლის მიერ კომიტეტის წინაშე განაცხადის დაუშვებლად გამოცხადებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 49 § 3

<ul style="list-style-type: none"> • შემდეგ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით: <ul style="list-style-type: none"> პალატის..... პალატის მიერ იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ უარის თქმა..... გადაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნის უარყოფა..... • იმის დადგენასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცეს საკონსულტაციო დასკვნა..... – წარმოდგენილი მხარის ან მესამე მხარის მიერ <ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის ან ანონიმურობის მოთხოვნასთან დაკავშირებით..... • მესამე მხარის ჩართვის მოთხოვნასთან დაკავშირებით..... • პალატის მიერ უფლებამოსილების გადაცემაზე პრეტენზიასთან დაკავშირებით..... 	<p>მუხლი 56 § 1</p> <p>მუხლი 72 § 1</p> <p>მუხლი 73 § 2</p> <p>მუხლი 87</p> <p>მუხლები 33 § 3, 47 § 3</p> <p>მუხლი 44 § 2</p> <p>მუხლი 72 § 2</p>
შეცდომების ბასწორება.....	მუხლი 81
საქმის ბალანსში დიდი პალატის სასარგებლოდ.....	მუხლი 73
რეგისტრატურა	
– ზოგადად.....	მუხლები 33 § 1, 38, 47
– ორგანიზება.....	მუხლი 18
– რეგისტრატორი <ul style="list-style-type: none"> • ზოგადად..... • არჩევა..... • ფუნქციები..... 	<p>მუხლები 1 „ნ“, 9 § 2, 18 § 3, 22, 34 § 3, 40, 44 §§ 1 და 5, 51 § 3, 56, 62, 70, 72 § 2, 74, 77, 79, 80, 84, 85, 93 § 3, 95, 99, დანართი მუხლი A5</p> <p>მუხლი 15 §§ 1 და 3</p> <p>მუხლი 17</p>
– რეგისტრატორის მოადგილეები <ul style="list-style-type: none"> • ზოგადად..... • არჩევა..... 	<p>მუხლი 74</p> <p>მუხლი 16 § 1</p>
– სექციების რეგისტრატორები.....	მუხლები 1 „ნ“, 18
– სხვა ოფიციალური პირები.....	მუხლები 18, 22
– სამართლებრივი მდივნები.....	მუხლი 18 § 3
პალატის მიერ იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ უარის თქმა.....	მუხლი 72
ბალანსი	
– მოსამართლის.....	იხ. მოსამართლეები
– თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების.....	იხ. თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები

მოსხენება

- ზოგადად.....	დანართი მუხლი A1 § 2
- მომსხუნებელი მოსამართლის მიერ.....	მუხლები 48, 49 § 3
- კომისიის მიერ	მუხლი 99 §§ 2, 3 და 5
მხარეთა წარმომადგენლები.....	მუხლები 34 §§ 2 და 3, 35, 36, 37, 45 §§ 1, 2 და 3, 46 § 1 „ვ“, 47 § 1 „ბ“, 70 §§ 1 და 3, 74 § 1, 77 § 2, 94 იხ. ასევე კვალთშეკვრის
მოთხოვნები და განაცხადები	
- ზოგადად.....	მუხლები 33 § 1, 36 § 1, დანართი
- სახელმწიფოთაშორისი განაცხადი (სამართალწარმოების აღძვრა).....	მუხლი 46
- ინდივიდუალური განაცხადი (სამართალწარმოების აღძვრა).....	მუხლები 45, 47 იხ. აგრეთვე სახელმწიფოთაშორისი / ინდივიდუალური
- დროებით ღონისძიებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 39 § 1
- სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 91
- შესამე მხარის ჩართვასთან დაკავშირებით.....	მუხლი 44 §§ 1 და 2
- დიდი პალატისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.....	მუხლი 73
- სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 60
- შეცდომების გასწორებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 81
- განაჩენის განმარტებასთან დაკავშირებით.....	მუხლი 79
- განაჩენის გადასინჯვასთან დაკავშირებით.....	მუხლი 80
- საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებით.....	მუხლები 83, 84, 87
- ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანებასთან დაკავშირებით	მუხლი 42
- საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭებასთან დაკავშირებით	მუხლი 41 იხ. აგრეთვე საბანბნო შემთხვევა
მოსამართლის ბაღაბომა.....	იხ. მოსამართლეები
განაცხადთა სიაში აღბენა.....	იხ. სიიდან ამოღება
განაჩენის ბაღასინჯვა.....	მუხლები 80, 102
სასამართლოს რეგლამენტი (მითითება სხვა მუხლებზე)	
- ძალაში შესვლა.....	მუხლი 104
- მუხლი 3	მუხლი 2
- მუხლი 5	მუხლები 8, 11, 12
- მუხლი 8	მუხლი 25
- მუხლი 24.....	მუხლები 6, 100 §§ 1 და 4

– მუხლი 26.....	მუხლები 6, 51, 52 §§ 2 და 3
– მუხლი 29.....	მუხლები 26, 102 § 3
– მუხლი 30.....	მუხლი 51
– მუხლი 32.....	მუხლი 38
– მუხლი 34.....	მუხლები 36 § 5, 44 § 5
– მუხლი 36.....	მუხლები 45, 94
– მუხლი 42.....	მუხლი 51 § 2
– მუხლი 43.....	მუხლები 51, 62
– მუხლი 49.....	მუხლები 48, 53, 54, 59 § 4
– მუხლი 51.....	მუხლები 55, 102
– მუხლი 52.....	მუხლები 53, 102
– მუხლი 54.....	მუხლები 36 § 2, 44, 55, 59 § 2, 91
– მუხლი 60.....	მუხლი 75
– მუხლი 62.....	მუხლი 33
– მუხლი 73.....	მუხლი 100 § 2
– მუხლი 78.....	მუხლები 57, 76
– მუხლი 79.....	მუხლი 102 § 2
– მუხლი 80.....	მუხლი 102 § 2
– მუხლი 87.....	მუხლი 90
– მუხლი 92.....	მუხლი 96
– მუხლი 96.....	მუხლები 91, 101
სასამართლოს აღბილსამყოფელი.....	მუხლი 19
საიდუმლო	
– თათბირის.....	მუხლი 22
– კენჭისყრის.....	მუხლები 15 § 3, 16 § 1
ბენერალური მდივანი	იხ. ევროპის საბჭო
სასამართლოს სმცნიები	
– შექმნა.....	მუხლი 25
– ზოგადად.....	მუხლები 1 „დ“ და „ზ“, 8 §§ 2 და 4, 12, 18 § 2, 26, 27, 51 § 3, 52 § 1, 98, 102
რჩეული განაჩენები და გადაწყვეტილებები.....	იხ. ბამოქმენება
მოსამართლის ბანცალკევეული მოსაზრება.....	იხ. მოსამართლეები
სმნიები	იხ. აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სმსი.....	მუხლი 15 § 3 იხ. ასევე მოსამართლეთა ბანაწილება
ხელმოწერა.....	მუხლები 45, 70, 77, 90
ოფიციალური ბანცხალება.....	იხ. უიცი
ბანსახილველ საქმეთა სიიდან ბანაცხალის ამოღება	
– ზოგადად.....	მუხლები 43, 49 § 2 „ბ“, 53 § 2, 54 § 1, 62 § 3, 75 § 4

– განაცხადთა სიაში აღდგენა.....	მუხლები 43 § 5, 81
შემცველელი მოსამართლეები.....	იხ. მოსამართლეები
მოსამართლის უფლებამონაცვლე.....	იხ. მოსამართლეები
რეგლამენტის მუხლის შექმნა.....	იხ. მუხლში ცვლილება-დამატებების შეტანა
უფლებამოსილების ვადა.....	იხ. სამსახურის/უფლებამოსილების ვადა
მსამე მხარის ჩართვა.....	მუხლები 1 „პ“, 34 § 4, 44, 77 § 3
ვადა	
– სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი.....	მუხლი 85 § 1
– პალატის თავმჯდომარის მიერ დადგენილი.....	მუხლები 38, 44, 51 § 6, 58 § 1, 79 § 4, 80 § 4
– მომხსენებელი მოსამართლის მიერ დადგენილი.....	მუხლი 49 § 2
– პალატის თავმჯდომარის მითითებების საფუძველზე რეგისტრატორის მიერ დადგენილი.....	მუხლი 70 § 3
– <i>ad hoc</i> მოსამართლის დანიშნისათვის (ოცდაათი დღე).....	მუხლი 29 § 2
– სახელმწიფოთაშორისი განაცხადის წარდგენისათვის (ექვსი თვე).....	მუხლი 46
– ინდივიდუალური განაცხადის წარდგენისათვის (ექვსი თვე).....	მუხლი 47 §§ 1 და 2
– მოპასუხე სახელმწიფოსათვის სახელმწიფოთაშორის განაცხადთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნისათვის (დაუყოვნებლივ).....	მუხლი 51 § 1
– სამართლიანი დაკმაყოფილების თანხის დადგენისთვის (განაჩენში მითითებული ორი თვე).....	მუხლები 60 § 1, 75 § 3
– პალატის მიერ იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ უარის თქმასთან დაკავშირებით პრეტენზიის გამოთქმისათვის (ერთი თვე).....	მუხლი 72 § 2
– დიდი პალატის სასარგებლოდ საქმის გადაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნისათვის (სამი თვე).....	მუხლი 73 § 1
– განაჩენის განმარტებასთან დაკავშირებით (ერთი წელი).....	მუხლი 79 § 1
– განაჩენის გადასინჯვასთან დაკავშირებით (ექვსი თვე).....	მუხლი 80 § 1
– გადაწვევტილებაში ან განაჩენში შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით (ერთი თვე).....	მუხლი 81
– რეგლამენტში ცვლილება-დამატებების შეტანასთან დაკავშირებული	

შუამდგომლობისათვის.....	მუხლი 103 § 1
– სასამართლოს შიდა	
ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მუხლის	
შეჩერებისთვის.....	მუხლი 103 § 2
<i>ბარდამაგალი დებულებები.....</i>	<i>მუხლები 97, 98, 99, 100, 101, 102</i>
თარბმანი.....	იხ. მთარბმნელები
საბანბნო შემთხვევა	
– დიდი პალატის სხდომა.....	მუხლი 21 § 2
– განმცხადებლისათვის საგანგებო	
შეტყობინების გაგზავნა.....	მუხლი 40
	იხ. ასევე ღროპითი ღონისძიებები,
	მოთხოვნები და განაცხადები –
	საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება
საქმის მოხმენების სტენოგრაფიული	
ჩანაწერი.....	იხ. საქმის მოხმენები
თავმჯდომარის მოაღბილები	
– სასამართლოსი	
• ზოგადად.....	მუხლები 5 §§ 1 და 2, 8 §§ 1 და 4, 10,
	24 § 4
• გადაყენება.....	მუხლი 11
– სექციების	
• ზოგადად.....	მუხლები 8 § 2, 24 §§ 5 და 6
• გადაყენება.....	მუხლი 12
კენჭისყრა.....	იხ. აღამიანის უფლებათა ევროპული
	სასამართლო
ბაწვევა.....	იხ. უფლებამოსილების
	ბანხორციელების შეუძლებლობა
სასამართლოს წინაშე გამოცხადებული	
მოწმეები, ექსპერტები და სხვა პირები.....	მუხლები 34 § 6, 64, 65, 70 § 1 „ბ“,
	დანართი მუხლები A2 § 2, A5, A6, A7,
	A8
წერილობითი კომენტარები	
– ზოგადად.....	მუხლები 1 „პ“, 34 §§ 2, 3, 4 და 5, 38,
	44 §§ 1, 2, 4 და 5, 48 § 1, 51 § 4, 54 §
	2, 58 § 1, 59 § 1, 60 §§ 1 და 3, 62 § 2,
	79 § 4, 80 § 4, 84 § 2, 85, 86, 99 § 4
– დაშვებადობასთან დაკავშირებით.....	მუხლები 51 § 3, 55, 91 § 1